# საარზიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 25 თებერვალი 2000 №34 (1056) | ფასი 50 თეთრი


2

## ვიალი ალექსიძეს ჩემპიონთა ლიგისთვის ამზადებს

6

## შერცხვენილი



ისრაელთან წაგება რუსეთის ნაკრების თავკაც რომანცევს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს

7

## ფეხბურთის პირველი რაინდი



კაცი იფიქრებდა, რომ ის არასოდეს მოკვდებოდა

14

## კინოაფიშა: გიორგი ქანდელაკი



ბი-ბი-სიმ ქართველ მოჭიდავეს თვალი დაადგა



ბადრი კეთილაძის ფოტო

შარშანდელი თასის ფინალი: სამგურალელი ივანე ჯუღელი (მარცხნივ) და ტორპედოელი ირაკლი მაღლაკელიძე

# ორი ა-თასიც დაიწყო!

## საქართველოს თასი

მერვედფინალი
25 თებერვალი, პარასკევი

| | |
|---|---|
| დინამო | გურია |
| აკადემია | ტორპედო |

*დღეს ქართული კლუბები თასის მერვედფინალით ნაადრევად გამოიზაფხულებენ. 2000 წლის სეზონის პირველ მატჩში თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო“ ავლაბარში რეგიონალლიგელ „აკადემიას“ ესტუმრება, ჩემპიონი თბილისის „დინამო“ კი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ასევე დაქვეითებულ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლებს.*

იხილეთ მეორე გვერდი

# ქართველები დამპალი თევზის რიგში

*2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქეებმა გუშინწინ ამხანაგური მატჩები გამართეს. იტალიამ რვათვიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და დინო ძოფს ლამის ჩამქრალი მომავლის იმედი გაუღვივა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ „სკუადრა აძურამ“ ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზოს და ქართველების წინააღმდეგ გუნდი სხვა მწვრთნელმა გამოიყვანოს. უნგრეთ — ავსტრალიის მატჩის შემდეგ კი აი, რა შეიძლება ითქვას: თუ ბუდაპეშტში ჩასულ ჩვენს ფეხბურთელებს იქაური ქომაგები დამპალ თევზებს ესვრიან, გამოდის, კარგად გვითამაშია. რატომ?*

იხილეთ მერვე გვერდი



REUTERS ბუდაპეშტიდან

უნგრეთი — ავსტრალია 0:3. უნგრელებმა ვერც მთელ თამაშში და ვერც ამ ეპიზოდში ავსტრალიელებს ვერა დააკლეს

# ვიალი ალექსიძეს ჩემპიონთა ლიგისთვის ამზადებს

## 32 ჩელსელი ქართველის ნომერია



რატი ალექსიძე

**გუშინ** პრემიერლიგის „ჩელსის“ მენეჯერმა ჯან-ლუკა ვიალიმ ქართველ რატი ალექსიძეს მუდმივი ნომერი არგუნა — იგი 32-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. ისე, მემკვიდრეობა რატის ერთობ ცუდი შეხვდა. ეს ნომერი წინა კვირამდე 19 წლის ფინელის მიკაელ ფორსელის საკუთრება იყო. ფორსელი შარშან „ჩელსიმ“ ფინეთის „ჰელსინკიდან“ აიყვანა, თუმცა იგი კლუბის ძირითადში ერთხელაც არ გამოჩენილა. გასულ კვირას კი მენეჯერმა „კრისტალ პალასში“ გაანათხოვრა.

სხვათა შორის, გუშინ ვიალიმ „ჩელსის“ სარეზერვო გუნდის კიდევ ერთი თინეიჯერი, მარკ ნიკოლსიც გაუშვა იჯარით „გრიმსბი თაუნში“.

ალექსიძისადმი კი ვიალის, როგორც ჩანს, ერთობ სერიოზული გეგმები აქვს. გუშინ და გუშინწინ რატიმ ძირითად გუნდთან ივარჯიშა. მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ ალექსიძის დებიუტი „ჩელსის“ ძირითად გუნდში ხვალვე შედგეს „სტემფორდ ბრიჯზე“, „უოტფორდთან“ შეხვედრაში.

შეგახსენებთ, რომ ალექსიძის დებიუტი 21 თებერვალს „დერბი ქაუნთის“ სარეზერვო გუნდის წინააღმდეგ უნდა შემდგარიყო, თუმცა ეს მატჩი გადაიდო.

გუშინვე ჯანლუკა ვიალიმ გამოაცხადა, რომ ალექსიძე იმ ფეხბურთელებთან ერთად მოემზადება, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის მატჩს ითამაშებენ ფრანგული „მარსელის“ წინააღმდეგ. ბოლო ინფორმაციით, ალექსიძეს „ჩელსის“ რიგებში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში მონაწილეობის უფლება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ რატიმ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოში“ იასპარეზა.

ალექსიძის გარდა „მარსელთან“ მატჩისთვის ემზადებიან: დე გუი, გუდიჩინი; ფერერი, პეტრესკუ, დესაი, ტომე, ბაბაიარო, ლამბური, დეშამპი, მორისი, დი მატეო, პოიეტი, ძოლა, ფლო, ვეა, სატონი, ამბროზეტი, ტერი, ჰარლი, უოლესტონი.

თავად ალექსიძე მეტად კმაყოფილია. „ყველა ჩემს მეგობარს უხარია, რომ „ჩელსიში“ გადმოვედი. გიორგი ქინქლაძემ და თემურ ქეცბაიამ მომილოცეს და წარმატება მისურვეს“ — თქვა მან.

**სიმონ მენაბდე**

# დემეტრაძის წარმატებამ რუსები გააღიზიანა

## თუმცა კალაძეზე ცუდის თქმა მათაც ვერ მოახერხეს

„სან სიროზე“ „მილანის“ დამარცხებას კიევის „დინამოსთან“ საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა აპენინების ნახევარკუნძულზე. იტალიურმა მედიამ ქება არ დაიშურა უკრაინელების მთავარი გუნდის მისამართით. კომპლიმენტები მოდიოდა ისეთი სოლიდური გამოცემებისგან, როგორებიც არიან „სტამპა“, „გაძეტო დელო სპორტი“, იტალიური არხი „რაი უნო“ და სააგენტო ANCA.

ამ უკანასკნელმა კიეველების თამაშს მშვენიერი უწოდა. „დინამოელებმა ზამთართან ბრძოლის შემდეგ მხოლოდ ახლა გამოიღვიძეს და გაახილეს თვალები, ისინი ფეხებს ავარჯიშებენ, შეეძლოთ უფრო დიდი ანგარიშითაც მოეგოთ, თუმცა მატჩის ამხანაგური ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი გოლით დაკმაყოფილდნენ“ — წერს ANCA.

იტალიელებს განსაკუთრებით მოეწონათ კახა კალაძის თამაში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სეზონის ბოლოს კალაძე გახდება პირველი ქართველი, რომელიც მსოფლიოში უძლიერეს სერია A-ში ითამაშებს.

აპენინელებზე ცუდი შთაბეჭდილება არც მეორე ქართველს, გამარჯვების გოლის გამტან გიორგი დემეტრაძეს დაუტოვებია, თუმცა „სტამპა“ აღნიშნავს, რომ „რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ზედმეტად ღელავდა“.

უკრაინელთა ფლაგმანის ასეთმა წარმატებამ „სან სიროზე“, ისიც ორი ქართველის თანამონაწილეობით, რუსული პრესა საშინლად გააღიზიანა. გუშინდელი გაზეთები აჭრელებული იყო დამცინავი გამოთქმებით, კიეველებმა „მილანის“ ბავშვთა გუნდი ძლივს დაამარცხესო. არადა, დამეთანხმებით, ეს შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკს“ ან „ზენიტს“ რომ მოეგო (რაც ალბათ ძნელი წარმოსადგენია), რუსებს წლის ბოლომდე სალაპარაკო ექნებოდათ.

იმ ფონზე, როცა ებრაელთა ნაკრებმა ჰაიფაში დაამარცხა რუსეთის ეროვნული ნაკრები, „სპორტ-ექსპრესი“ ცინიზმით აღნიშნავს ჩემპიონთა ლიგის მონაწილეს უფლება არ ჰქონდა, ასეთ ახალგაზრდულ შემადგენლობასთან წაეგო, მიუხედავად იმისა, რომ „მილანის“ მეორე შემადგენლობა პირველ ტაიმში კიეველებს აშკარად სჯობდა“.

გაზეთი, რომელიც შარშან დიეგო მარადონას ადარებდა ვლადიკავკაზის „ალანიის“ ფორვარდ გიორგი დემეტრაძეს და მის ყველა გოლს (თუნდაც „ჟემჩუჟინას“ კარში გატანილს) „სუპერის“ გარეშე არ იხსენიებდა, ახლა ღვარძლში იხრჩობა. „კიეველებს შევჩენკოს შემცვლელებზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ, აი რებროვიც თუ წავა...“

დარწმუნებული ვარ, დემეტრაძეს მოსკოვის „სპარტაკის“ მაისურით რომ გაეტანა ასეთი გოლი, თუნდაც იტალიის „პისტოიეზეს“ კარში, რუსები არ დაწერდნენ: „ექსვლადიკავკაზელმა ვერაფერი აჩვენა ისეთი, რითაც შევჩენკომ ევროპაში სახელი გაიკეთა. დემეტრაძე, იმის მაგივრად რომ კარისკენ სწრაფად დაიძრას, ფუსფუსებს, ცდილობს, მეურვე მოატყუოს, ისიც ადგილზე გაჩერებულმა და საკუთარ ფეხებში იბლანდება. გატანილმა გოლმა მისი გამოსვლა ვერ შეალამაზა, ის კი არა ბოლო 15 წუთში მან 4 მეტრიდან ვერ გაიტანა“... იმის დასამტკიცებლად, რომ არაფერს ვაზვიადებთ, აქვე შემოგთავაზებთ კიეველთა რუსი ლეგიონერის — გერასიმენკოს დახასიათებას. „გერასიმენკო მშვენივრად თამაშობდა. მე-8 წუთზე ხანცკევიჩმა ვერ გამოიყენა მისი ბრწყინვალე გადაცემა“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

თუმც „სპორტ-ექსპრესმაც“ კი ვერ მოახერხა კახი კალაძეზე რაიმე ცუდის თქმა. „ჩემს იტალიელ კოლეგებს მატჩში ყველაზე მეტად შევჩენკო და კალაძე მოეწონათ. ქართველმა ახლაც დაამტკიცა საკუთარი კლასი და საზღვარგარეთიდან სერიოზულ წინადადებასაც უნდა ელოდოს“ — აღნიშნავს რუსი ჟურნალისტი.

**სიმონ მენაბდე**

# საქართველოს თასი
# მერვედფინალი

თბილისი. დილმის ბაზა. 25 თებერვალი. 15 საათი

**დინამო — გურია**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, მ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

თბილისი. „ისანი“. 25 თებერვალი. 15 საათი

**აკადემია — ტორპედო**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. მარლიშვილი, (ქარელი) ლ. რაზმაძე (გორი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

# მერვედფინალი გამოცდილებისთვის

**იწყება**... კი, ალბათ, დაიწყება. ეს არ არის ეროვნული ჩემპიონატის ხანმოკლე მარათონი. იქ შეიძლება, თავს მოდუნების უფლება მისცე. სათასო მატჩები ისეთია, გამოუცნობი. სუსტსაც ძალუძს სიურპრიზის შემოთავაზება. ერთი მატჩის ძლიერად ჩატარება ყველას შეუძლია.

ჯერ მხოლოდ მერვედფინალებია და არავინ უწყის, 26 მაისს, „ეროვნულზე“, რომელი გუნდები წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ. ქართველი გუნდები თამაშობენ და გამორიცხულიც არაფერია. ვინ ვის უმუხთლებს და დაუმმობილდება, უცნობია.

მერვედფინალში ოთხი გუნდია რეგიონული ლიგიდან. სავსებით შესაძლებელია, რომელიმე მათგანი მეოთხედფინალშიც ვიხილოთ, მაგრამ ეს არ და ვერ მოხდება დღეს.

დღეს ის მატჩებია, როცა მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობა წყვილების პირველივე მატჩებში გაირკვევა. საპასუხო თამაშები ფორმალური ხასიათისლა იქნება.

აბა, რა უნდა მოუხერხოს დედაქალაქურმა „აკადემიამ“ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ტორპედოს“? თბილისელები აქამდე, რამდენიმე წლის მანძილზე, პირველ ჯგუფში აღსაზევებლად კი იბრძოდნენ, მაგრამ მათი მონდომება აუხდენელ ოცნებად ქცეულა. „აკადემია“ მაინცდამაინც ვერც გამოცდილი ფეხბურთელებით დაიკვეხნის და ვერც ფინანსურ სტაბილურობას დაიჩემებს. „ტორპედოს“ კი ჰყავს გაცილებით მაღალი დონის შემსრულებლები. ქუთაისელებს მატერიალური უზრუნველყოფა არ მოჰკლებიათ, წვრთნა და უცხოური შეკრებები, იცოცხლეთ, ისეთი გაიარეს, რომ მათ დღევანდელ მეტოქეს მსგავსზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია.

რეალობა ასეთია — რიონისპირელებმა დედაქალაქში მხოლოდ სამარქაფოები რომ ჩამოიყვანონ, აკადემიელებს მაინც დაჯაბნიან. მასპინძლების არასახარბიელო მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ისინი მრისხანე მეტოქეს თავიანთთვის კარგად ნაცნობ „ივერიაზე“ კი არა, ავლაბარში, „ისანზე“ უმასპინძლებენ. მაშ ასე, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ „ტორპედო“ მეოთხედფინალშია.

ისევე, როგორც თბილისის „დინამო“, დღევანდელი ლანჩხუთის „გურია“ წინააღმდეგობას ვერანაირად გაუწევს ათგზის ჩემპიონს.

„დინამომ“ გაასხვისა (თუ გაყიდა) აშვეთია, ალექსიძე, ანჩაბაძე, ქებაძე... არაფერს ვამბობთ იჯარით აყვანილ და დაბრუნებულ ფეხბურთელებზე. გუშინდლამდე მოუგვარებელი იყო „სიონიდან“ მიწვეული დავით დათუაძის და გერმანიიდან დაბრუნებული რევაზ არველაძის ტრანსფერის საკითხიც.

დღევანდელ „გურიას“ საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ აღსაზრდელები წარმოადგენენ. ჯერაც პატარა ბიჭები ოსტატობით დინამოელებს ვერ შეედრებიან. მათ რეგიონალურ ლიგაშიც უჭირთ, გაუჭირდებათ დღესაც.

ისე, „დინამო“ — „გურია“ ერთგვარად საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრადაც შეგვიძლია მოვნათლოთ. მატჩი ხომ დილმის ბაზაზე ტარდება. სადაც სამართალია, ასეთი თამაშები ბაზაზე არ უნდა იმართებოდეს. სადაა დილომში მაყურებლისთვის ტრიბუნებიდა უსაფრთხოების ელემენტარული პირობები.

სხვა მხრივ რა უჭირს, მოედანს დახაზავენ, ალმებსაც ჩაარჭობენ მინდვრის თავ-ბოლოში. გამოცდილებას შეიძენენ ახალგაზრდა გურულები.

მაინც კარგია ბურთაობის განახლება. თასის მერვედფინალის პირველ მატჩებს სუპერთასი მოჰყვება, მერე, სამიოდ დღეში ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი დაიწყება და... გულშემატკივარიც, ცოტა, ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც მივა სტადიონზე. დაბეჩავებული ქართული ფეხბურთის ამბებს იკითხავს, ბურთაობასაც შეხედავს ცალი თვალით, იმის იმედად, იქნებ ქართულ ფეხბურთში რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოსო.

**მამუკა ქვანტალიანი**



თასის შარშანდელი გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ისანზე“ კახა ჩხეტიანის (№17) ორი გოლით „ტორპედომ“ „არსენალს“ 2:1 მოუგო

# ოთარ კორღალიძე: გაგვიჭირდება

## დინამოს მთავარი მწვრთნელი გუნდის მომზადებით კმაყოფილია



თბილისის „დინამო“ ორიოდე დღის წინ კვიპროსიდან დაბრუნდა. თბილისელები იქ ორკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდნენ. ოთარ კორღალიძე გუნდს სამეორეეტაპოდ ამზადებდა.

ბოლო წლებში დამკვიდრებული არც თუ სასიამოვნო ტრადიცია წლეულსაც გაგრძელდა — ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის შემადგენლობაში მორიგი ცვლილებები მოხდა. „დინამო“ წამყვანი ფეხბურთელებისგან კვლავ დაიცალა. მართალია, გუნდში ახალაწვეულებიც მრავლად მივიდნენ, მაგრამ...

ძნელია, იყო თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. ეს თანამდებობა კაცს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს — ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდი უნდა აკეთოს, თანაც ისეთი, ეროვნულ სარბიელზეც ისახელოს თავი და არც გარეთ შერცხვეს. დინამოელთა ამჟამინდელი თავკაცი ოთარ კორღალიძე მძიმე ამოცანის წინაშე დგას. წლეულს საქართველოს ათგზის ჩემპიონს ალბათ ისე გაუჭირდება, როგორც არასდროს. თბილისელებს კონკურენტები მოუძლიერდნენ.

დღეს საქართველოში საფეხბურთო სეზონი ახლდება. „დინამო“ თასის მერვედფინალურ მატჩში ლანჩხუთის „გურიას“ მასპინძლობს. მერე სუპერთასის მატჩია, მარტის პირველ რიცხვებში კი მეთერთმეტე ჩემპიონატის მეორე ეტაპიც იწყება.

რა ხდება ამჟამად „დინამოში“? როგორ მოემზადა გუნდი სეზონისთვის? ამ და სხვა კითხვებზე გუშინ ოთარ კორღალიძემ გვიპასუხა, რომელსაც დილმის ბაზაზე შევხვდით.

**— ბატონო ოთარ, ფეხბურთელთა მომზადების დონით კმაყოფილი ხართ?**

— უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. კვიპროსში ჩატარებულმა ბოლო ორმა ამხანაგურმა მატჩმა დამანახა, რომ გუნდი საკმაოდ კარგად არის მომზადებული. ამ შეხვედრებში ჩვენი მეტოქეები საკმაოდ ძლიერი კლუბები იყვნენ — რუმინული „დინამო“ და პოლონური „პოლონია“. ორივე გუნდი მეორე ტაიმში აშკარად დავჯაბნეთ, რაც ბიჭების ფიზიკურ მზადყოფნაზე მეტყველებს. დავრწმუნდი, რომ ფიზიკური თვალსაზრისით მართლაც კარგად გამოვიყურებით.

**— სხვა მხრივ?**

— თამაშის ხარისხის გაუმჯობესება გვმართებს. ბიჭებს, ცოტა შეთამაშებაც აკლიათ. მომავალი ორი მატჩი, თასის და სუპერთასის, სწორედ საამისოდ უნდა გამოვიყენოთ.

**— კვიპროსში როგორი პირობები იყო, რამემ ხელი ხომ არ შეგიშალათ მზადების პროცესში?**

— ძალიან კარგი პირობები გვქონდა. ერთი ხელისშემშლელი ამინდი იყო. თითქმის ყოველდღე წვიმდა და ქარი უბერავდა. მიუხედავად ამისა, დღეში ხან სამჯერ ვვარჯიშობდით, ხანაც — ორჯერ.

**— კვიპროსში თქვენთან ერთად გაემგზავრა გიორგი ანჩაბაძეც, უკან კი აღარ დაბრუნებულა.**

— იგი საფეხბურთო კარიერას, ალბათ, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გააგრძელებს, გიორგი ვლადიმერ გუცაევმა მიიწვია. ანჩაბაძის „ალანიაში“ გადასვლის ამბავი თითქმის გადაწყვეტილია.

**— ანჩაბაძე, ალექსიძისა და აშვეთიას შემდეგ მესამე წამყვანი ფეხბურთელია, ვინც ბოლო პერიოდში გუნდი დატოვა...**

— მართლაც დიდი დანაკლისი განვიცადეთ. ეს სამეული „დინამოში“ ამინდს ქმნიდა. ამ ეტაპზე მათი სრულფასოვანი შეცვლა ძალიან ძნელია, თუმცა ვეცდებით, ეს შევძლოთ.

**— ვინ გესახებათ მათ შემცვლელებად?**

— ანჩაბაძის ადგილზე ბოლო მატჩებში რეზო არველაძე დავაყენე და მინდა გითხრათ, რომ ურიგოდ არ გამოიყურებოდა. იგი ჯერ კიდევ არ არის ფორმა[illegible], რადგან გვიან შემოგვიერთდა. იმედია, რეზო უფრო მოუმატებს. რაც შეეხებათ [illegible]ექსიძეს და აშვეთიას, მათ შემცვლე[illegible]ს ჯერაც ვეძებთ. გუნდში ახლა ს[illegible] თავდამსხმელი გვყავს — კობა წიტაიშვილი, გიორგი მიქაძე და გიორგი შენგელია. მიქაძეს ტრავმა აწუხებდა და ბევრი გაუცდა. ამ სამეულს ალბათ კიდევ ერთს დავამატებთ. ეს, სავარაუდოდ, მოლდოვური „შერიფიდან“ დაბრუნებული მიხეილ ხუციშვილი იქნება, რომელიც ახლა „თბილისში“ ვარჯიშობს.

**— კვიპროსში ჩატარებულ ბოლო ორ შეხვედრაში „დინამოს“ შემადგენლობაში მოულოდნელად „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები — არმაზ ჯელაძე და მერაბ ძოძუაშვილი ათამაშეთ.**

— ამ ბიჭების თამაშები ვნახე, კმაყოფილი დავრჩი. თუმცა ორივეს გადმოყვანას, ალბათ, ვერ შევძლებთ. „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი თანახმაა, ეს ფეხბურთელები დროებით გვათხოვოს. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს ხანში გადაწყდება. თუ ეს არ გამოვიდა, მაშინ ხუციშვილს დავიმატებთ.

**— მურთაზ შელიას საქმე როგორაა? იგი კვიპროსში არ წაგიყვანიათ.**

— შელიამ გამგზავრების წინ ტრავმა მიიღო და ამიტომაც დარჩა. ახლა იგი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, სეზონის ბოლომდე ჩვენთან ითამაშებს.

**— კუნძულზე ოთხი საკონტროლო მატჩი გამართეთ. ერთი მოიგეთ, სამში დამარცხდით. შედეგმა ხომ არ შეგაშფოთათ?**

— არა, რადგან ჩვენ აქედანვე მზადების სპეციალური გეგმა მოვამზადეთ. პირველი თამაშის წინა დღეებში სამჯერადი ვარჯიშები ჩავატარეთ. გვაინტერესებდა, დაღლილობის ფონზე როგორ ვითამაშებდით. მეტოქედ უნგრული „დებრეცენი“ გვყავდა. 0:1 კი წავაგეთ, მაგრამ წინა დღის დატვირთვების შემდეგ მაინც კარგად ვითამაშეთ. მეორე მატჩში რუსეთის „რუბინთან“ ორი შემადგენლობით ჩავატარეთ. პირველ ტაიმში ახალგაზრდები შევიყვანეთ მინდორზე, 45 წუთის მერე 0:2-ს ვაგებდით. მეორე ნახევარში ძირითადის შემადგენლობამ ითამაშა, ტაიმი 2:1 კი მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ 2:3 დავმარცხდით. ბუქარესტის „დინამოსთან“ შესახვედრად [illegible] ზულად მოვემზადეთ [illegible] თვალსაზრისით ჩინებულად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში რუმინელებს ფიზიკურად გადავურბინეთ. შეხვედრა 4:2 მოვიგეთ. „პოლონიასთან“ მატჩის წინა დღეს კი ორჯერ ვავარჯიშე გუნდი და ალბათ შევცდი, რადგან თამაშის დებიუტში ბიჭები ძალიან გადაღლილები ჩანდნენ. 25-ე წუთზე უკვე 0:3-ს ვაგებდით, მერე კი გაიხსნენ ჩვენები, ორი საპასუხო გოლიც გავიტანეთ, მაგრამ თამაშის გადარჩენა ვეღარ შევძელით.

**— ეს შეხვედრები გუნდში არსებულ ხარვეზებზეც მიგანიშნებდათ.**

— რა თქმა უნდა. ეს მატჩები რომ მოგვეგო, იმ ნაკლისთვის ყურადღება შეიძლება არც მიგვექცია. აშკარად მოვიკოჭლებდით ბურთის კოლექტიური ართმევის დროს. სხვა ხარვეზებიც იყო. თავდასხმის ხაზმაც არ დამაკმაყოფილა. საგოლე მომენტები ნახევარდაცვის კარგი თამაშის ხარჯზე უფრო იქმნებოდა, ვიდრე შემტევთა აქტიურობით.

**— წლეულს ჩემპიონობა და თასის აღება უფრო გაგიჭირდებათ, ვიდრე სხვა დროს, რადგან კონკურენტები ძალიან გაძლიერდნენ.**

— დიდი ბრძოლა გველის, ჩვენი მიზანი უცვლელია. კვლავაც ჩემპიონობისთვის და თასის მოსაგებად ვიბრძოლებთ, თუმცა ძალიან გაგვიჭირდება. მით უმეტეს ახლა, როცა ანჩაბაძეც წავიდა გუნდიდან. ამას უკვე ვეღარ ვიფიქრებდი, თუმც რას ვიზამთ.

**— წინააღმდეგი თუ იყავით, რატომ გაუშვით?**

— კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე. არ გვინდოდა, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით.

**— ფინანსური კრიზისი ხომ არ ემუქრება „დინამოს“?**

— არა, ფინანსური კრიზისი არა. უბრალოდ, შარშანდელ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩენილიყავით, საჭიროდ ჩავთვალეთ, ასე მოვქცეულიყავით. სხვა შემთხვევაში ფეხბურთელებს შეიძლება ხელფას-პრემია დაჰგვიანებოდათ. ასეთ მოთამაშეებს კი მე, როგორც მწვრთნელი, ვერაფერს მოვთხოვდი. ახლა კი ეს პრობლემა აღარ გვექნება.

საერთოდ კი მზადების პროცესი გეგმის მიხედვით ჩავატარეთ. ბიჭები კარგად არიან მომზადებულნი და მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლებენ. გაგვიჭირდება, მაგრამ ვეცდებით, თითოეულ შეხვედრას ისე მივუდგეთ, როგორც გადამწყვეტს, მაშინ ჩანაფიქრის განხორციელებასაც შევძლებთ.

**ვანო ოქროპირიძე**

# სოლოღაშვილი საცურაო აუზში

როგორც ამას წინათ გაცნობეთ, ბოლნისის „სიონისა“ და საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების წევრმა დავით სოლოღაშვილმა მენისკი დაიზიანა. სწორედ ამ მიზეზით ვერ გაემგზავრა იგი დღეს ნაკრების შემადგენლობაში ზაგრებს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. სოლოღაშვილის ტრავმა სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა და ასეც მოხდა, დათომ გუშინწინ ფეხბურთელთა წრეში კარგად ცნობილ ქირურგებთან — ლევან ნაჭყებიასთან და პაატა მეხრიშვილთან ოპერაცია გაიკეთა.

„მადლობა ექიმებს და ზურაბ ჯაფარიძეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქირურგთა თქმით, ერთ თვეში თამაშის საშუალება მექნება, მანამდე კი...“

თუ რატომ ემადლიერება სოლოღაშვილი ექიმებს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მენისკის ოპერაციის შემდეგ ძნელად თუ შეპირდება ქირურგი ფეხბურთელს ერთ თვეში ფეხზე დაყენებას (ამ შემთხვევაში სრულად დატვირთვას), რაც შეეხება ბოლნისის სიონის გამგებელს ზურაბ ჯაფარიძეს, მას ჩვეული კეთილშობილება კვლავაც გამოუმჟღავნებია, გვერდზე დასდგომია „სიონის“ ფეხბურთელს და ოპერაციის ხარჯიც სრულად გაუღია.

მოკლედ, სოლოღაშვილი ერთ თვეში მოედანზე გასვლას ვარაუდობს... მანამდე კი გარკვეული პროცესებია გასავლელი (რა თქმა უნდა, ექიმთა რეკომენდაციით), ერთ კვირაში ფეხბურთელი რიგი პროცედურების ჩასატარებლად საცურაო აუზს მიაშურებს, შემდეგ ტრენაჟორებზე ვარჯიშის ჯერია, მერე კი...



დავით სოლოღაშვილი

**პაატა ქვანტალიანი**

# ვისთვის პირველი, ვისთვის ბოლო

მეთერთმეტე ეროვნულისათვის სამზადისს სამტრედიის „იბერია“, როგორც იცით, ნაბოლარად შეუდგა. სულ რაღაც ათი დღეა, რაც გუნდი დიდი ჯიხაიშის ბაზაზე შეიკრიბა და, სხვა რა გზა აქვს, ფორსირებულად გადის წვრთნას.

გუშინ სოსო ფრუიძის შეგირდებმა პირველი საკონტროლო მატჩიც გამართეს. სოფელ გეგუთის სტადიონზე ისინი წყალტუბოს „სამგურალს“ დაუპირისპირდნენ და, ნახსენებ გარემოებათა გათვალისწინებით, არცთუ ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. ცივ, წვიმიან ამინდში თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მისი ბედი კი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. წყალტუბოელთა კარში ბურთი ოდიკაძემ გაიტანა.

„იბერია“ საგრძნობლად გა[illegible]ხლებულა. მოგეხსენებათ, ძმებმა მეტრეველ[illegible], გივი ქველაძემ და შოთა დარსაძემ გუნდი კარგა ხანია დატოვეს. ახლა მათ გელა ლურსმანაშვილიც მიჰყოლია. „ჯოყოლა“, თურმე, რეგიონული ლიგის „ცხინვალში“ აპირებს თამაშს. ჰოდა, სოსო ფრუიძე, ფაქტობრივად, ახალგაზრდების იმედადაა დარჩენილი. „სამგურალის“ წინააღმდეგ მან „იბერია 2“-ის რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელი გაიყვანა მოედანზე. ამასთან ორი ახალწვეულიც გასინჯა — ბოლო დროს აგრარული უნივერსიტეტის გუნდში ნათამაშევი გიორგი ნოზაძე და კობა ალანია. ამ ორის „იბერიაში“ დარჩენა არდარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. მომდევნო საკონტროლო თამაშს კი „იბერია“ 28 თებერვალს ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცთან“ აპირებს. შეხვედრის ადგილი ჯერჯერობით უცნობია.

ახლა „სამგურალს“ რაც შეეხება. წყალტუბოურ გუნდში „ტორპედოს“ რამდენიმე ფარმკლუბელის შესაძლო მივლინების შესახებ გუშინწინაც გაუწყეთ. ამჯერად დაზუსტებით გეტყვით, იმერული კლუბების თავკაცთა შეთანხმებით ტორპედოინტერელები მეკარე ზვიად სტურუა, აგრეთვე კახა ვადაჭკორია, შოთა ფუტკარაძე, შოთა ბაბუნაშვილი და რევაზ კვერნაძე ჩემპიონატის მეორე ეტაპს „სამგურალში“ გაატარებენ. მათ ითამაშეს კიდევაც გუშინდელ საკონტროლო მატჩში. „სამგურალისთვის“ ეს ძალების ბოლო მოსინჯვა იყო ზესტაფონის „მარგვეთთან“ თასის გათამაშების პირველი მერედფინალური შეხვედრის წინ, რომელიც, წესით და რიგით, 29 თებერვალს უნდა გაიმართოს თერჯოლაში, ოღონდ აქ ერთიცაა, როგორც შევიტყვეთ, წყალტუბოელებს მისი ერთი დღით ადრე გადმოტანა სურთ და ამ საკითხს ახლა ფედერაციას უთანხმებენ.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# სიონი გაურკვევლობაში

შეშფოთებულია ბოლნისელთა თავკაცი სპარტაკ არჩვაძე და აქვს ამის საფუძველიც, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ გუნდიდან წასულ ცხრა ფეხბურთელს ქვემოქართველებმა მხოლოდ ოთხი შეუნაცვლეს, თანაც ერთი ახალწვეულის გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხიც საბოლოოდ არ არის გარკვეული. „სიონიდან" წასულთა შორისაა ლავრენტი გაგუაც, თანაც ისე, რომ მწვრთნელმა არ იცის მის ასავალ-დასავალი. ჩვენი ინფორმაციით, გაგუა ერთ-ერთ პოლონურ გუნდში იმყოფება გასინჯვაზე. რამდენიმე დღის წინ ქვემოქართლელებმა ექსლოკომოტიველი და თურქმენეთის „კოპეტდაღში" ნათამაშევი კახა გოგოლაძე შეიერთეს. მის გარდა კიდევ ორი ახალწვეულის — გიორგი მაზანიშვილის და ბესიკ შენგელიას გუნდში დარჩენის საკითხიც გადაწყდა. გასარკვევი მხოლოდ შალვა ისიანის საკითხია. ეს ფეხბურთელი პირველ წრეში „თბილისში" თამაშობდა და ძველი გუნდიდან ჯერაც არა აქვს მიღებული განთავისუფლების ფურცელი. ამასთან დაკავშირებით „სიონის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს „თბილისთან". სპარტაკ არჩვაძის თქმით, გასარკვევია თვით დათუაძის ამბავიც, რადგან „სიონს" ეს ფეხბურთელი ჯერ ოფიციალურად არ გაუშვია გუნდიდან. ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი იმაზეც წუხს, რომ პირველ ტურში არჩილ შაკიაშვილი მოისაკლისა — „სიონის" კაპიტანი დისკვალიფიკაციის გამო „დილასთან" კალენდარულ მატჩს გამოტოვებს. ბოლოს და ბოლოს არჩვაძის საფიქრალი ის არის, რომ მისი გუნდი ვერ აწყობს ხუთდღიან შეკრებას. კაზრეთი ისევ ჩაბნელებულია, უშუქობაში და სიცივეში ფეხბურთელების შეკრებას კი აზრი არ აქვს.

დაბოლოს, ერთიც „სიონზე", დღეს ამ კლუბის ხელმძღვანელობა „ვიტ ჯორჯიას" მესვეურებს უნდა შეხვდეს არჩილ ბოკერიას თაობაზე. „სიონს" ვეტერინარი ფეხბურთელის გადაბირების დიდი სურვილი ჰქონია. იმედი მაქვს, ამჯერად მაინც გაგვიმართლებს და ბოკერია ჩვენთან ითამაშებსო, გვითხრა გუშინ სპარტაკ არჩვაძემ.

**პაატა ძვანტალიანი**

# ჩალაძეს და კორღალიძეს იტალიაში გააქვთ

ლატვიის უცვლელმა ჩემპიონმა, რიგის „სკონტომ" წინასასეზონო შეკრება იტალიაში დაიწყო. გუნდმა ვერ შეძლო შარშანდელი ბირთვის შენარჩუნება. ბლეიდელისი მარიან პახარსის „საუთჰემპტონში" გადაბარგდა, სილაგაძე „ალანიაში" წავიდა. „სკონტოს" ახლებიც შეემატნენ — „თბილისიდან" ვალერი გაგუა, ხოლო ახალგაზრდული გუნდიდან ვლარკი და ბორუნი.

დავით ჩალაძემ კი, რომელსაც დონეცკის „შახტარი" და ესპანური „კორდობა" ეპატიჟებოდნენ, „სკონტოში" კიდევ ორი წლით დარჩენა გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ ჩალაძის გარდა „სკონტოში" კიდევ ოთხი ქართველია — ვალერი გაგუა, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე.

„სკონტომ" გუშინ სამოყვარულო „რეალ პალეზეს" განადგურებით დაიწყო იტალიური შეკრება. რიგელებმა 10:1 გაიმარჯვეს. დუბლი ოთხმა სკონტოელმა შეასრულა: ჩალაძემ, კორღალიძემ, ვლარკმა და კოლესნიჩენკომ, რომელსაც კიევის „დინამო" აკვირდება.

მომდევნო შეხვედრას „სკონტო" იტალიის სერია C1/B-ს წარმომადგენელ „ნოჩერინასთან" გამართავს, რომელიც თავის ლიგაში მე-9 ადგილზე იმყოფება.

**სიმონ მენაბდე**

# კაიდარაშვილი კრივბასში მომაგრდა

გორელი ალექსანდრე კაიდარაშვილი ტერნოპოლის „ნივადან" ზაპოროჟიეს „მეტალურგში", იქედან კი კრივოი როგის „კრივბასში" რომ გადაბარგდა, მკითხველს უკვე ვაუწყეთ.

ცოტა უცნაურად ვითარდებოდა ჩვენებურის უკრაინული კარიერა. „მეტალურგმა" „ნივას" ალეკოს სატრანსფერო საფასურის ნახევარი გადაიხადა. ორ შეკრებაზე, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და იტალიურ კოვერჩანოშიც იახლა და მერე, ყველასათვის მოულოდნელად, ქართველი თავდამსხმელი „კრივბასს" დაუთმო.

ზაპოროჟიელთა თავკაცმა მირონ მარკევიჩმა ამ ფაქტს ცოტა უცნაური და დაბნეული კომენტარი მოაყოლა: „კაიდარაშვილი კარგი იყო თოვლიან მინდორზე, ნორმალურ პირობებში კი იგი მოედანზე არ ჩანდა. ვერ გეტყვით, რა გამოუვა „კრივბასში", მაგრამ ფაქტი ერთია, „მეტალურგი" მას ადვილად შეელია."

გაუგებარი დარჩა ისიც, თუ სად მოელანდა მარკევიჩს თოვლი. საამიროებში სასწაული ჯერაც არ მომხდარა, არც იტალიური კოვერჩანოსთვის გადაუვლია თეთრი სტიქიის ტალღას.

მოკლედ, კაიდარაშვილი „კრივბასს" შეუერთდა და ახლა ახალ კლუბთან ერთად ავსტრიაში' იმყოფება შეკრებაზე. ალეკომ ორ საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა. ერთხელ ავსტრიის დაბალი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან მეორე ნახევარში შეუშვეს მინდორზე, უკრაინელებმა გაიმარჯვეს — 3:0, მეორედ, ავსტრიულ „შტურმთან", მწვრთნელებმა მთელი 90 წუთი ამყოფეს მოედანზე. „კრივბასმა" 3:2 მოიგო. ალეკომ ორი გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

„კრივბასის" მთავარი მწვრთნელი ოლეგ ტარანი ქართველი თავდამსხმელის გარჯას ასე აფასებს: „ვერ გეტყვით, რატომ დაიწუნა მარკევიჩმა კაიდარაშვილი, მაგრამ ფაქტია, ქართველი ნიჭიერი ფორვარდია. იგი ერთნაირი წარმატებით ირჯება თავდასხმაშიც და ნახევარდაცვაშიც.

ჯერჯერობით არაფერი გადაგვიწყვეტია. ეს საკითხი, ალბათ, საბოლოოდ 5 მარტისთვის მოგვარდება, თუმც ისიც ნათელია, რომ ზაპოროჟიელებმა მეტად მსუყე ლუკმა დაგვითმეს."

**მამუკა ძვანტალიანი**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე, სტურუა (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3, სამგურალი 4:0 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია, ანჩაბაძე (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარი?? |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (თსუ), მელაძე (გორდა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაშიმიატოვეს) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (მუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარწყავლე* | პაპიძე, გადელია (თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2, თსუ 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენდიქსფორი (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, ი. ნადირაძე (არსენალი), ლ. გაგუა (ლკს, ლოძი, პოლონეთი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი), ბ. შენგელია (იბერია), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0, ზოოვეტი 8:2, თბილისი 4:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), გ. ლურსმანაშვილი (ცხინვალი), ქველაძე (?) | გ. ნოზაძე, კ. ალანია (საუ) | სამგურალი 1:0 |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე (პორტსმუთი, ინგლისი), დოლაბერიძე, ბარნოვი (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ქიქვიძიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალიტიპადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე, გულორდავა (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2, ლადა ვაზ (ტოლიატი, რუსეთი) 1:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ. კილასონია, შ. მეტრეველი, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | სიონი 1:1, 0:0, ხალიბი 4:3, 3:2, 2:0, ზოოვეტი 2:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაკაია* | ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი), ჯობაძე (არსენალი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ებრალიძე (თბილისი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1, ბათუმი 2:1 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, ჭაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0, ლოკომოტივი 2 3:1, მეტალურგი 3:0, აკადემია 1:0, 2:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა), ებრალიძე (თსუ) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გადელია (ბათუმი), ყუფარაძე, (არსენალი), გ. ლუდუშაური, თ. დოლიძე (არ თამაშობდნენ) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0, ჭაბუკიანი 3:1, აკადემია 2:1, სიონი 1:4 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე, სტურუა (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია), ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე (ინტერი) | ინტერი 8:0, გაგრა 5:1, ტორპედო 0:4, იბერია 0:1 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანჯღავა* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), ყუფარაძე (თბილისი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გვგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ი. კაპანაძე, ნ. მინდიაშვილი (სიონი), გ. ტულუში (ცხინვალი), ჯობაძე (თსუ), შუკაკიძე (ზოოვეტი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0, დილა 1:1, მეტალურგი 4:0, ლოკომოტივი 2 3:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

საქართველოს 11 ჩემპიონატი I ეტაპი სტატისტიკა

# «ა» ზონა

*საფეხბურთო სეზონის განახლებამდე იხილეთ მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის „ა“ ზონის სრული სტატისტიკა. თითქმის ყველაფერი რისი დათვლაც და ციფრებით გადმოცემა შეიძლება*

## ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 14 |
| მატჩი | 56 |
| გოლი | 147 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,62 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 10,5 |
| მასპინძელთა მოგება | 28 (50%) |
| ფრეები | 14 (25%) |
| სტუმართა მოგება | 14 (25%) |
| საერთო დასწრება | 78 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 407 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | I: 9 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | X: 2 750 |
| უხვგოლიანი ტური | XIII: 20 |
| გოლმწირი ტური | IV: 4 |

## გუნდების ბომბარდირები

| № | გუნდი | ბომბარდირი | გოლი | გუნდის % |
|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | გონჩაროვი | 4 | 40 |
| 2 | ბათუმი | აფხაზავა | 4 | 2 |
| 3 | დინამო | ალექსიძე | 12 | 31 |
| | დინამო | აშვეთია | 12 | 31 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | ქორიძე | 8 | 40 |
| 6 | თბილისი | ლ. მელქაძე | 6 | 28 |
| 7 | ლოკომოტივი | ქებაძე | 9 | 42 |
| 8 | სამგურალი | ძოძუაშვილი | 3 | 33 |
| 9 | სიონი | დ. გოდერძიშვილი | 3 | 23 |

## უხვმაყურებლიანი მატჩები

| № | მატჩი | დასწრება | ტურის № |
|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი — ვიტ ჯორჯია 0-0 | 5000 | 3 |
| 2 | ბათუმი — დინამო 1-0 | 5000 | 1 |
| 3 | ბათუმი — ლოკომოტივი 4-1 | 4000 | 11 |
| 4 | დინამო — სიონი 3-0 | 3000 | 7 |
| 5 | სამგურალი — დინამო 1-2 | 3000 | 6 |
| 6 | სიონი — დინამო 1-3 | 2500 | 14 |
| 7 | ბათუმი — სიონი 4-0 | 2500 | 13 |
| 8 | არსენალი — სიონი 0-1 | 2500 | 12 |
| 9 | არსენალი — თბილისი 1-1 | 2500 | 4 |

## უხვგოლიანი მეოთხედი

| № | | დროის მონაკვეთი | გოლი | % |
|---|---|---|---|---|
| 1 | VI მეოთხედი | 75-90 წუთი | 35 | 23 |
| 2 | III მეოთხედი | 31-45 წუთი | 26 | 17 |
| 3 | IV მეოთხედი | 46-60 წუთი | 24 | 16 |
| 4 | V მეოთხედი | 61-75 წუთი | 22 | 14 |
| 5 | I მეოთხედი | 01-15 წუთი | 20 | 13 |
| 6 | II მეოთხედი | 16-30 წუთი | 20 | 13 |

## ყველა ანგარიში

| | არს | ბათ | დინ | თბი | ლოკ | სამ | სიო | ვიტ | თ | მ | ფ | წ | ბ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | | 0:1 | 2:0 | 1:1 | 0:4 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | 9 | 8 |
| ბათუმი | 1:0 | | 1:0 | 2:0 | 4:1 | 0:0 | 4:0 | 0:0 | 14 | 6 | 7 | 1 | 15:4 | 25 | 2 |
| დინამო | 1:1 | 2:1 | | 3:2 | 4:0 | 7:1 | 3:0 | 4:1 | 14 | 11 | 1 | 2 | 38:12 | 34 | 1 |
| თბილისი | 3:1 | 1:1 | 0:6 | | 0:4 | 5:2 | 3:4 | 2:1 | 14 | 3 | 4 | 7 | 21:31 | 13 | 6 |
| ლოკომოტივი | 2:2 | 0:0 | 1:2 | 2:1 | | 2:0 | 0:1 | 1:1 | 14 | 5 | 3 | 6 | 21:19 | 18 | 5 |
| სამგურალი | 1:0 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 0:3 | | 1:0 | 0:1 | 14 | 3 | 2 | 9 | 9:27 | 11 | 7 |
| სიონი | 1:0 | 0:0 | 1:3 | 2:2 | 1:0 | 2:0 | | 0:0 | 14 | 6 | 3 | 5 | 13:19 | 21 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 4:0 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 3:1 | 3:1 | 3:0 | | 14 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 23 | 3 |

## მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 6 | დ | 3 | 8 |
| 2 | სიონი | 3 | დ | 10 | 12 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 3 | დ | 6 | 8 |
| 4 | ბათუმი | 2 | მ | 13 | 14 |
| 5 | ლოკომოტივი | 2 | დ | 8 | 9 |
| 6 | სამგურალი | 2 | დ | 3 | 4 |
| 7 | არსენალი | 1 | დ | 10 | 10 |
| 8 | თბილისი | 1 | დ | 11 | 11 |

## უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 9 | დ | 5 | 13 |
| 2 | დინამო | 8 | დ | 1 | 8 |
| 3 | თბილისი | 7 | დ | 5 | 11 |
| 4 | სამგურალი | 6 | დ | 6 | 11 |
| 5 | არსენალი | 5 | მ | 10 | 14 |
| 6 | სიონი | 5 | მ | 10 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 5 | დ | 4 | 8 |
| 8 | ბათუმი | 3 | დ | 7 | 9 |

## ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 5 | დ | 2 | 6 |
| 2 | თბილისი | 2 | დ | 1 | 2 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 9 | 10 |
| 4 | არსენალი | 1 | დ | 9 | 9 |
| 5 | დინამო | 1 | დ | 9 | 9 |
| 6 | ლოკომოტივი | 1 | მ | 14 | 14 |
| 7 | სამგურალი | 1 | დ | 12 | 12 |
| 8 | სიონი | 1 | დ | 9 | 9 |

## წაუგებელი სერია

| № | გუნდი | არწაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 12 | მ | 3 | 14 |
| 2 | ბათუმი | 7 | დ | 1 | 7 |
| 3 | სიონი | 5 | დ | 8 | 12 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 5 | დ | 6 | 10 |
| 5 | სამგურალი | 3 | დ | 3 | 5 |
| 6 | არსენალი | 2 | დ | 9 | 10 |
| 7 | თბილისი | 2 | დ | 11 | 12 |
| 8 | ლოკომოტივი | 2 | მ | 13 | 14 |

## წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამგურალი | 6 | დ | 6 | 11 |
| 2 | არსენალი | 4 | მ | 11 | 14 |
| 3 | თბილისი | 3 | დ | 8 | 10 |
| 4 | ლოკომოტივი | 3 | დ | 10 | 12 |
| 5 | დინამო | 2 | დ | 1 | 2 |
| 6 | სიონი | 2 | მ | 13 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 4 | 5 |
| 8 | ბათუმი | 1 | დ | 8 | 8 |

## უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 4 | დ | 3 | 6 |
| 2 | არსენალი | 3 | მ | 12 | 14 |
| 3 | ლოკომოტივი | 3 | დ | 3 | 5 |
| 4 | დინამო | 2 | დ | 1 | 2 |
| 5 | თბილისი | 2 | მ | 13 | 14 |
| 6 | სამგურალი | 2 | დ | 11 | 12 |
| 7 | სიონი | 2 | დ | 6 | 7 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 9 | 10 |

## მოუგებელი სერია

| № | გუნდი | უმოგებლობა | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამგურალი | 9 | დ | 5 | 13 |
| 2 | არსენალი | 7 | დ | 3 | 9 |
| 3 | ბათუმი | 5 | დ | 2 | 6 |
| 4 | თბილისი | 4 | დ | 1 | 4 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 4 | დ | 9 | 12 |
| 6 | ლოკომოტივი | 3 | დ | 10 | 12 |
| 7 | დინამო | 2 | დ | 1 | 2 |
| 8 | სიონი | 2 | მ | 13 | 14 |

## მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 5 | დ | 3 | 7 |
| 2 | სიონი | 4 | დ | 9 | 12 |
| 3 | სამგურალი | 3 | დ | 3 | 5 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 3 | დ | 1 | 3 |
| 5 | დინამო | 2 | დ | 4 | 5 |
| 6 | ლოკომოტივი | 2 | დ | 8 | 9 |
| 7 | არსენალი | 1 | დ | 2 | 2 |
| 8 | თბილისი | 0 | დ | 0 | 0 |

## ამპლუათა შედეგიანობა და მეოთხედებში ბურთების შეფარდება

| გუნდი | დაცვა გოლი | დაცვა % | შუახაზი გოლი | შუახაზი % | თავდასხმა გოლი | თავდასხმა % | 01-15 გატ | 01-15 გაშ | 01-15 სხვ | 16-30 გატ | 16-30 გაშ | 16-30 სხვ | 31-45 გატ | 31-45 გაშ | 31-45 სხვ | 46-60 გატ | 46-60 გაშ | 46-60 სხვ | 61-75 გატ | 61-75 გაშ | 61-75 სხვ | 76-90 გატ | 76-90 გაშ | 76-90 სხვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 0 | 0 | 2 | 20 | 8 | 80 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | -4 | 2 | 4 | -2 | 1 | 9 | -8 | 2 | 1 | 1 | 3 | 4 | -1 |
| ბათუმი | 0 | 0 | 7 | 46 | 8 | 54 | 1 | 2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 | 0 | 4 | 5 | 0 | 5 | 3 | 0 | 3 |
| დინამო | 1 | 2 | 17 | 45 | 20 | 53 | 6 | 1 | 5 | 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 2 | 6 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 13 | 3 | 10 |
| თბილისი | 1 | 4 | 8 | 38 | 12 | 58 | 4 | 6 | -2 | 4 | 4 | 0 | 4 | 4 | 0 | 3 | 5 | -2 | 3 | 2 | 1 | 3 | 10 | -7 |
| ლოკომოტივი | 3 | 14 | 4 | 20 | 14 | 66 | 4 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | 5 | 3 | 2 | 5 | 3 | 2 | 1 | 3 | -2 | 3 | 7 | -4 |
| სამგურალი | 0 | 0 | 4 | 45 | 5 | 55 | 1 | 4 | -3 | 2 | 5 | -3 | 2 | 8 | -6 | 3 | 3 | 0 | 0 | 4 | -4 | 1 | 3 | -2 |
| სიონი | 3 | 24 | 5 | 38 | 5 | 38 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 2 | 4 | 5 | -1 | 0 | 4 | -4 | 4 | 7 | -3 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 15 | 5 | 25 | 12 | 60 | 0 | 3 | -3 | 3 | 1 | 2 | 5 | 3 | 2 | 6 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 1 | 4 |

**შენიშვნა** სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე; ამპლუათა შედეგიანობის და მეოთხედებში ბურთების შეფარდების ცხრილში გატ: გატანილი, გაშ: გაშვებული და სხვ: სხვაობა

# შერცხვენილი რომანცევი



„ჩვენზე სამარცხვინოდ მხოლოდ ტაილანდმა და ომანმა წააგეს“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა საპირველგვერდო სტატია პოპულარულ რუსულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“. ტაილანდელებს გასამართლებელი კიდევ აქვთ. მათი მეტოქე ხომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იყო. 1998 წლის ნოემბერში დიდი ანგარიშით რუსეთიც დამარცხდა ბრაზილიასთან, მაგრამ მაშინდელმა 1:5-მა ნაკლები აჟიოტაჟი გამოიწვია — ტაილანდელებისა არ იყოს, ბრაზილია ბრაზილიაა. სულ სხვაა ისრაელთან წაგება.

ცხადია, დაიწყო დამნაშავის ძიება და ხელი უპირველესად ოლეგ რომანცევს დაადეს. ებრაელები თავგანწირვით იბრძოდნენ, ჩვენები კი მეტად მოდუნებულები იყვნენ, უეჭველია, მწვრთნელმა ფეხბურთელები სათანადოდ ვერ დამოძლვრაო — ამბობენ რუსები. ჩრდილოელთა მარცხის რეალურ მიზეზებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ რომანცევს უკვე უთქვამს, ჩემი მუშაობა თუ არ მოგწონთ, მზად ვარ, გადავდგეო.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი მწვრთნელის განცხადების კომენტირებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა ნაკრების უსუსური თამაშით აღშფოთებულია. ის ამბობს, დაველოდოთ, ვნახოთ, მომდევნო ამხანაგურ შეხვედრაში რას ვიზამთო. იქამდე კი დიდი დრო აღარ დარჩა. 26 აპრილს რუსები ამერიკელებს უმასპინძლებენ, 4 ივნისს კი სლოვაკეთს.

**გიორგი დარჯანია**

# იანვრის რჩეულნი

**გუშინ ევროპის წამყვანი სპორტული ჟურნალ-გაზეთების გაერთიანებამ (ESM) ტრადიციული გამოკითხვის შედეგები შეაჯამა და ბებერი კონტინენტის იანვრის „ოცნების გუნდი“ გამოავლინა**

KICKER (გერმანია) — ხუანმი (სარაგოსა), ველასკო (სელტა), მონტერო (იუვენტუსი), აბელარდო (ბარსელონა), კანდელა (რომა), ფიგუ (ბარსელონა), ზიდანი (იუვენტუსი), ნედვედი (ლაციო), კიუელი (ლიდსი), ანრი (არსენალი), ჟარდელი (პორტუ)

A BOLA (პორტუგალია) — შმაიხელი (სპორტინგი), ტურამი (პარმა), ნესტა (ლაციო), მალდინი (მილანი), სილვინიო (არსენალი), ზეედორფი (ინტერი), ფიგუ (ბარსელონა), ზიდანი (იუვენტუსი), რივალდო (ბარსელონა), ჟარდელი (პორტუ), ვან ნისტელროოი (პსვ ეინდჰოვენი)

DON BALON (ესპანეთი) — ვან დერ სარი (იუვენტუსი), ტურამი (პარმა), აბელარდო (ბარსელონა), მალდინი (მილანი), ფიგუ (ბარსელონა), ზეედორფი (ინტერი), ზიდანი (იუვენტუსი), რაული (რეალი), სიმონე (მონაკო), ჟარდელი (პორტუ), შუკერი (არსენალი)

FOOT MAGAZINE (ბელგია) — ტოლდო (ფიორენტინა), საუთგეიტი (ასტონ ვილა), კრისტენვალი (მონაკო), რადებე (ლიდსი), რობერტო კარლოსი (რეალი), ფიგუ (ბარსელონა), ზიდანი (იუვენტუსი), რივალდო (ბარსელონა), ბერგერი (ლივერპული), სალვა (რასინგი), ტრეზეგე (მონაკო)

FRANCE FOOTBALL (საფრანგეთი) — ვან დერ სარი, მონტერო (ორივე იუვენტუსი), ბლანი (ინტერი), კიოუნი, პეტი (ორივე არსენალი), უაიზი (ჩელსი), ზიდანი (იუვენტუსი), ზენდენი (ბარსელონა), ანრი (მონაკო), შევჩენკო (მილანი), რაული (რეალი)

GAZZETA DELLO SPORT (იტალია) — ვან დერ სარი, ძამბროტა, მონტერო (ყველა იუვენტუსი), სტამი (მანჩესტერი), რობერტო კარლოსი (რეალი), ფიგუ (ბარსელონა), კინი (მანჩესტერი), ზიდანი (იუვენტუსი), ტოტი (რომა), სალვა (რასინგი), შირერი (ნიუკასლი)

VOETBAL INTERNACIONAL (ჰოლანდია) — ვან დერ სარი (იუვენტუსი), ტურამი (პარმა), კრისტენვალი (მონაკო), სტალენსი (ანდერლეხტი), რობერტო კარლოსი (რეალი), ფიგუ (ბარსელონა), ზიდანი (იუვენტუსი), ზეედორფი (ინტერი), სიმეონე (ლაციო), ჟარდელი (პორტუ), კრისტიანი (პსჟ)

WORLD SOCCER (ინგლისი) — ბოსნიჩი (მანჩესტერი), ძამბროტა, მონტერო (ორივე იუვენტუსი), ჰიიპია (ლივერპული), მალდინი (მილანი), ჯერემი (რეალი), კინი (მანჩესტერი), ზიდანი (იუვენტუსი), გალიარდო (მონაკო), მილოშევიჩი (სარაგოსა), რივალდო (ბარსელონა)

იანვრის „ოცნების გუნდი“ კი ასე გამოიყურება:

*ვან დერ სარი, ტურამი, მონტერო, მალდინი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ზეედორფი, ზიდანი, რივალდო, ჟარდელი, რაული*

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანული** დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი შტეფან როიტერი დაშავდა და დაახლოებით ოთხ კვირას ვერ იასპარეზებს. ექიმების ცნობით, 33 წლის გამოცდილ მცველს მარჯვენა მუხლის მყესები დაეჭიმა.

**ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩი „დენ ბოსხსა“ და „აიაქსს“ შორის, რომელიც მომავალ კვირას იყო დაგეგმილი, უსაფრთხოების გამო 4 აპრილისთვის გადაიდო. ქვეყნის საფეხბურთო კავშირს და დენ ბოსხის მერს არ სურთ, ზედმეტად გარისკონ. ისინი გულშემატკივართა მხრიდან პროვოკაციასა და ხულიგნობას უფრთხიან და ამიტომ მატჩის გადადება გადაწყვიტეს. ჩემპიონატის წინა ტურში, „ტილბურგისა“ და „ფეიენოორდის“ შეხვედრის დროს, ფანებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, რის გამოც 250 ადამიანი დააკავეს.**

**ინგლისური** „ქოვენთრი“ ჰოლანდიურ „ალკმარში“ მოასპარეზე ფერნანდო რიკსენით დაინტერესდა. პრემიერლიგური კლუბი სავარაუდოდ 3,5 მილიონ გირვანქას იხდის. 23 წლის ნახევარმცველის შეძენას შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო რეინჯერსიც“ ცდილობს, ამიტომ რიკსენის მომავალი კლუბი ჯერჯერობით უცნობია.

**რუსეთის ვიცე-ჩემპიონ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა განაცხადა, რომ ნახევარმცველ ალექსეი სმერტინის გაყიდვას გუნდი მინიმუმ ერთი წელი არ აპირებს. „უკვე მრავალმა შემოგვთავაზა, მაგრამ მომდევნო სეზონს სმერტინი ალბათ ჩვენთან გაატარებს, მომავალი წლიდან კი ნებისმიერ ევროპულ კლუბში გადასვლა შეეძლება“ — ამბობს სიომინი. შეგახსენებთ, რომ ალექსეი სმერტინი 1999 წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მისი შეძენის სურვილი ამ ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გამოთქვა.**

**ჰოლანდიური** „უტრეხტის“ მთავარ მწვრთნელ მარკ ვოტეს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და კლუბიდან წასვლას აპირებს. გუნდის ხელმძღვანელობამ მისი შემცვლელი უკვე შეარჩია, 39 წლის ფრანს ადელერი, რომელიც ამჟამად ვოტეს ასისტენტად მუშაობს.

**ინგლისური „ვესტ ჰემის“ მეკარე შაკა ჰისლოპი წინა ტურში „ბრედფორდთან“ მატჩში დაშავდა და საკმაო ხანს ვერ იასპარეზებს. კარს ამჟამად სარეზერვო გოლკიპერი, კანადელი კრეიგ ფორესტი იცავს. გუნდის თავკაც ჰარი რედნაპს კი კიდევ ერთი მეკარის, იან ფიუერის გადაბირება სურს. „იანს ამ კვირაში დაველაპარაკებით, თუ წინააღმდეგი არ იქნება, სეზონის ბოლომდე ალბათ გადმოვიყვანთ კიდეც“ — განაცხადა რედნაპმა. ფიუერი „ვესტ ჰემში“ ადრეც ირიცხებოდა. ამერიკული „ლოს ანჯელეს სალსადან“ ლონდონურ კლუბში 1993 წელს გადაბარგდა 135 ათას დოლარად, მაგრამ მოედანზე ერთხელაც არ გამოჩენილა და „პიტერბროში“ გაანათხოვრეს, შემდეგ კი „ლუთონ თაუნს“ 1 მილიონ გირვანქად მიჰყიდეს. მერე იგი ამერიკაში გადაბარგდა და 1998 წლამდე „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის“, ხოლო 1999 წლიდან „კოლორადო რაპიდსის“ ღირსებას იცავს.**

**გერმანული** ლევერკუზენის „ბაიერის“ ლიბერომ, იენს ნოვოტნიმ ბუნდესლიგის უკანასკნელ ტურში, „შალკეს“ წინააღმდეგ მატჩში, ორი გაფრთხილება მიიღო და მოედნიდან გააძევეს. კლუბმა ფედერაციას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გაუქმება მოთხოვა, თუმცა მისი აპელაცია არ დააკმაყოფილეს, ამიტომ ნოვოტნი მომდევნო ტურში ბერლინის „ჰერტას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

## ლიბერტადორესის თასი

Copa Toyota' Libertadores 2000

ევროპელთა მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. სამხრეთამერიკელებმა ჩემპიონთა ლიგის მსგავსად ლიბერტადორესის თასის გათამაშებასაც შეუცვალეს ფორმატი. ამიერიდან პირველ ეტაპზე სათამაშოდ იქაც 32 გუნდი ჩაებმება. ისინი რვა ჯგუფად განაწილდნენ და ორ-ორი საუკეთესო მერვედფინალებში განაგრძობს ბრძოლას.

პირველ ტურში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. უპირველესად, „ბოკა ხუნიორსის“ დამარცხება არის აღსანიშნავი. არგენტინელები ბოლივიურ ქალაქ სანტა კრუზში ჩავიდნენ და ქვეყნის ჩემპიონ „ბლუმინგს“ შეხვდნენ. მატჩში ერთადერთი გოლი ბოლივიელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა, ვიქტორ უგო ანტელომ შეაგდო. აღსანიშნავია, რომ „ბოკამ“ შეხვედრა ცხრა კაცით დაასრულა. 68-ე წუთზე არგენტინელი მცველი ბენხამინ იბარა გააძევეს, ხოლო ორი წუთის შემდეგ მის გზას თავდამსხმელი ხოსე პერედაც გაუდგა.

ვერ მოიგო მეორე არგენტინულმა გრანდმაც. „რივერ პლეიტი“ ასევე სტუმრად მექსიკურ „ატლასს“ შეხვდა. მატჩი 1:1 დამთავრდა და ორივე გოლის ავტორები არგენტინელი ფეხბურთელები არიან. 24-ე წუთზე „ატლასის“ არგენტინელმა ლეგიონერმა უგო კასტილიომ ანგარიში გახსნა, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობამ დიდხანს არ გასტანა. ხუთი წუთის შემდეგ რიველმა ხუან პაბლო ანხელმა წონასწორობა აღადგინა.

მესამე ჯგუფში პირველი თამაში წააგო ბრაზილიის და მსოფლიოს ჩემპიონმა „კორინთიანსმა“. „რივერის“ მსგავსად, ბრაზილიელების პირველი მეტოქე მექსიკური გუნდი იყო და თამაშიც იქვე ჩატარდა.

ასე რომ, თასის გათამაშება მოულოდნელობებით დაიწყო, თუმცა სენსაციური პროგნოზების გაკეთება ნაადრევია — გრანდები ჯერ „ხურდებიან“.

**გიორგი დარჯანია**

### I ჯგუფი

I ტური

**ალიანსა (პერუ) 0:3 ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია)**

0:1 ლუიზინიო (7), 0:2 ლუკასი (43), 0:3 კელი (61)

**ემელეკი (ეკვადორი) 0:2 ატლეტიკო ნასიონალი**

0:1 რეგუიერო (55), 0:2 რუბენ და სილვა (85)

*29.02 ალიანსა — ემელეკი; 08.03 ატლეტიკო ნასიონალი — ალიანსა; 09.03 ატლეტიკო პარანენსე — ემელეკი; 15.03 ატლეტიკო ნასიონალი — ატლეტიკო პარანენსე; 22.03 ატლეტიკო პარანენსე — ალიანსა; ატლეტიკო ნასიონალი — ემელეკი; 04.04 ემელეკი — ატლეტიკო პარანენსე; ალიანსა — ატლეტიკო ნასიონალი; 12.04 ემელეკი — ალიანსა; ატლეტიკო პარანენსე — ატლეტიკო ნასიონალი*

### II ჯგუფი

I ტური

**უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 1:1 პენიაროლი (ურუგვაი)**

1:0 ფრანსისკო ფერნანდესი (35), 1:1 ხოსე ფრანკო (67)

**ბლუმინგი (ბოლივია) 1:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

1:0 უგო ანტელო (45)

*02.03 პენიაროლი — ბლუმინგი; ბოკა ხუნიორსი — უნივერსიდად კათოლიკა; 09.03 ბლუმინგი — უნივერსიდად კათოლიკა; 16.03 პენიაროლი — ბოკა ხუნიორსი; 22.03 ბოკა ხუნიორსი — ბლუმინგი; 05.04 პენიაროლი — უნივერსიდად; კათოლიკა; 12.04 უნივერსიდად კათოლიკა — ბოკა ხუნიორსი; 13.04 ბლუმინგი — პენიაროლი; 19.04 უნივერსიდად კათოლიკა — ბლუმინგი; ბოკა ხუნიორსი — პენიაროლი*

### III ჯგუფი

I ტური

**ამერიკა (მექსიკა) 2:0 კორინთიანსი (ბრაზილია)**

1:0, 2:0 სანჩესი (37, 71)

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 0:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

0:1 კინტანა (83)

*03.03 ოლიმპია — ამერიკა; კორინთიანსი — ლიგა დე კიტო; 14.03 ამერიკა — ლიგა დე კიტო; ოლიმპია — კორინთიანსი; 05.04 ოლიმპია — ლიგა დე კიტო; კორინთიანსი — ამერიკა; 11.04 ლიგა დე კიტო — კორინთიანსი; 12.04 ამერიკა — ოლიმპია; 19.04 ლიგა დე კიტო — ამერიკა; კორინთიანსი — ოლიმპია*

### IV ჯგუფი

I ტური

**ატლასი (მექსიკა) 1:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 უგო კასტილიო (24), 1:1 პაბლო ანხელი (29)

**უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 4:0 ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)**

1:0 რიკარდო როხასი (25), 2:0 გონსალესი (35), 3:0 ტელო (87), 4:0 კ. აკუნია (90)

*29.02 ატლეტიკო ნასიონალი — ატლასი; 01.03 რივერ პლეიტი — უნივერსიდად დე ჩილე; 08.03 ატლასი — უნივერსიდად დე ჩილე; ატლეტიკო ნასიონალი — რივერ პლეიტი; 15.03 რივერ პლეიტი — ატლასი; 16.03 ატლეტიკო ნასიონალი — უნივერსიდად დე ჩილე; 22.03 ატლასი — ატლეტიკო ნასიონალი; 06.04 უნივერსიდად დე ჩილე — რივერ პლეიტი; 20.04 უნივერსიდად დე ჩილე — ატლასი; რივერ პლეიტი — ატლეტიკო ნასიონალი*

### V ჯგუფი

I ტური

**სერო პორტენო (პარაგვაი) 1:0 ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია)**

1:0 ესპინოლა (10)

**სან ლორენსო (არგენტინა) 3:0 უნივერსიტარიო (პერუ)**

1:0 არიელ ლოპესი (39), 2:0 ფრანკო (52), 3:0 ტუზიო (74 პ)

*02.03 უნივერსიტარიო — სერო პორტენო; ატლეტიკო ხუნიორი — სან ლორენსო; 07.03 სან ლორენსო — სერო პორტენო; 09.03 ატლეტიკო ხუნიორი — უნივერსიტარიო; 15.03 ატლეტიკო ხუნიორი — სერო პორტენო; 16.03 უნივერსიტარიო — სან ლორენსო; 21.03 სერო პორტენო — უნივერსიტარიო; სან ლორენსო — ატლეტიკო ხუნიორი; 06.04 უნივერსიტარიო — ატლეტიკო ხუნიორი; სერო პორტენო — სან ლორენსო*

### VI ჯგუფი

I ტური

**ატლეტიკო კოლეგიალესი (პარაგვაი) 2:5 ამერიკა (კოლუმბია)**

0:1 მონგესი (18 ს.კ.), 1:1 მატო (32), 2:1 ენრიკე სუკედო (33), 2:2 მორენო (40), 2:3 სალასარი (60), 2:4 მორენო (67), 2:5 სალასარი (74)

**როსარიო სენტრალი (არგენტინა) 3:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

1:0 პიცი (45), 2:0 მაკერატეზი (47), 3:0 ეზეკელ გონსალესი (64), 3:1 კარლოს ხუარესი (74)

*06.03 ატლეტიკო კოლეგიალესი — ამერიკა; 07.03 სპორტინგ კრისტალი — ატლეტიკო კოლეგიალესი; ამერიკა — როსარიო სენტრალი; 14.03 ამერიკა — სპორტინგ კრისტალი; როსარიო სენტრალი — ატლეტიკო კოლეგიალესი; 22.03 ამერიკა — ატლეტიკო კოლეგიალესი; 23.03 სპორტინგ კრისტალი — როსარიო სენტრალი; 04.04 ატლეტიკო კოლეგიალესი — სპორტინგ კრისტალი; როსარიო სენტრალი — ამერიკა; 19.04 სპორტინგ კრისტალი — ამერიკა; ატლეტიკო კოლეგიალესი — როსარიო სენტრალი*

### VII ჯგუფი

I ტური

**ჟუვენტუდე (ბრაზილია) 1:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

1:0 მაბილია (73)

**პალმეირასი (ბრაზილია) 4:0 სთრონგესტი (ბოლივია)**

1:0 როკე ჟუნიორი (7), 2:0 გალეანო (39), 3:0 ბასილიო (62), 4:0 პენია (80)

*08.03 სთრონგესტი — ჟუვენტუდე; 16.03 ელ ნასიონალი — პალმეირასი; 21.03 ელ ნასიონალი — სთრონგესტი; პალმეირასი — ჟუვენტუდე; 06.04 ელ ნასიონალი — ჟუვენტუდე; სთრონგესტი — პალმეირასი; 12.04 ჟუვენტუდე — სთრონგესტი; 13.04 პალმეირასი — ელ ნასიონალი; 20.04 სთრონგესტი — ელ ნასიონალი; ჟუვენტუდე — პალმეირასი*

### VIII ჯგუფი

I ტური

**ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) 1:0 ბოლივარი (ბოლივია)**

1:0 რამონი (28)

*24.02 ბელა ვისტა (ურუგვაი) — კობრელოა (ჩილე); 01.03 ბოლივარი — ბელა ვისტა; 09.03 კობრელოა — ატლეტიკო მინეირო; 14.03 კობრელოა — ბოლივარი; ატლეტიკო მინეირო — ბელა ვისტა; 22.03 კობრელოა — ბელა ვისტა; ბოლივარი — ატლეტიკო მინეირო; 04.04 ბელა ვისტა — ბოლივარი; 05.04 ატლეტიკო მინეირო — კობრელოა; 18.04 ბოლივარი — კობრელოა; ბელა ვისტა — ატლეტიკო მინეირო*

ეროვნული ბიბლიოთეკა



50-იანი წლების ინგლისის ნაკრების „ფრთები“ ტომ ფინეი (მარცხნივ) და სტენლი მეტიუზი

სარბიელის არქივიდან



სტენლი მეტიუზის განთქმული გარღვევა

# გარდაიცვალა ფეხბურთის პირველი რაინდი

ჩრდილოეთ სტეფორდშირში, ნაფილდის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინგლისური ფეხბურთის პირველი რაინდი სერ სტენლი მეტიუზი. იგი ოთხმოცდახუთი წლისა იყო და კაცი იფიქრებდა, რომ არასოდეს მოკვდებოდა. ძნელი იყო უფრო ჯანსაღი და უფრო სპორტული მოხუცის პოვნა.

ვინ იყო სტენლი მეტიუზი?

დღევანდელ ფეხბურთს შეჩვეულ ხალხს ეგებ სასაცილოდაც არ ეყოს გუშინ, ბობი რობსონის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ეს იყო მოთამაშე, რომელსაც გვერდით დაუყენებდი პელეს, მარადონასა და კრუიფს“.

რაღაც ძალიან შორსაა მეტიუზის და მისი ფეხბურთის დრო, ძალიან შორეული ჩანს ეპოქა, როცა მარჯვენა გარემარბი ლამის ოცდათხუთმეტ წელიწადს იდგა თავის ფრთაზე, ემატებოდა წლები და არ ბერდებოდა. ჩვიდმეტი წლისა შეიქნა პროფესიონალ ფეხბურთელად და ორმოცდაათი წლისა და ხუთი დღისას მთელი მხოფლიო აცილებდა მწვანე მინდვრიდან.

მთელი კარიერა გაატარა დღეს დაბალ ლიგებში საძებარ ორადორ კლუბში — „ბლექპულსა“ და „სტოკ სიტიში“, 54-ჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრებში, 710 სალიგო თამაში ჩაატარა ამ ორი კლუბის შემადგენლობაში და გაიტანა... ძალიან ცოტა გოლი. გუნდთან ერთად მოიგო ერთადერთი ტიტული — ასოციაციის თასი, 1953 წელს. როგორც მოთამაშე პირველი იყო, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთი“ რომ გადასცეს.

ფეხბურთელთა შორის იყო ასევე პირველი, „სერის“ ტიტული რომ მიანიჭა სამეფო კარმა, 1964 წელს. მის გამოსათხოვარ მატჩზე სტოკში ჩამოვიდნენ იაშინი, მასოპუსტი, დი სტეფანო, შნელინგერი და სხვანი. ოთხმოციანი წლების მიწურულამდე თამაშობდა, გამოდიოდა საქველმოქმედო მატჩებში, მიენიჭა კუბერტენის თასი, როგორც სანიმუშო სპორტსმენს.

ორჯერ იყო დაქორწინებული და პირველი ცოლისგან ქალ-ვაჟი მისცემოდა.

ეს ყველაფერი აუცილებელი ჩამონათვალია, რასაც უნდა დაემატოს ალიარებული ფრაზა: „ფეხბურთის პირველი ჯენტლმენი“.

სხვა კი ასეა: ამ ადამიანს გამოუგონია ფინტების დიდი უმრავლესობა. ეს ფინტები დღესაც ცოცხლობენ. მეტიუზამდე არ არსებობდა ფეხის ამგვარი მოძრაობებით დატვირთული დრიბლინგი, სისწრაფეში ამგვარი რამეების კეთება თითქმის წარმოუდგენელი იყო. ფეხბურთის ვირტუოზებად აღიარებულ სამხრეთამერიკელ ფილიგრანთაგან განსხვავებით, მეტიუზი თავის განთქმულ დრიბლინგს გუნდურ ინტერესს უქვემდებარებდა. ის დარბოდა, ფინტს სიჩქარეს ახმარდა. ცალკე საკითხი იყო მისი პასი და კროსი, უაღრესად, რბილი, ზუსტი, გამოზომილი. ამის მიუხედავად მეტიუზს ინდივიდუალისტს ეძახდნენ.

ევროპელ ფეხბურთელთაგან ის პირველი იყო, ვინც ამგვარი ურთიერთობა დაამყარა ბურთთან. საოცრად ინტელიგენტური, ტანხმელი, სპორტული იერისა, მეტიუზი ისე მოძრაობდა მოედანზე, რომ საგულდაგულოდ გადაკვარნილი თმა არც კი ჩამოეშლებოდა ხოლმე.

„დრიბლინგის ჯადოქარი“, „ფინტების მეფე“, „უკვდავი“ — ის ახალგაზრდების მხარდამხარ ვარჯიშობდა და შეღავათს არ ითხოვდა. ცხოვრებაში არ მოეწია და არ დაელია, მხოლოდ გამოსათხოვარი მატჩის წინ მიიტანა ტუჩებთან შამპანურით სავსე ჭიქა. ოცდათხუთმეტ წელიწადში არ დაჯარიმებულა, არ უდავია და ასეთი იყო: სამუდამო მაგალითი ფეხბურთის მოთამაშე ბიჭებისათვის.

სერ სტენლი მეტიუზი, კაცი რომელმაც თავისი ფეხბურთი შექმნა.

ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა კი თქვა: „იგი ისე უდგებოდა ფეხბურთს, რომ ამ თამაშს კეთილშობილთა ხელობად აქცევდა“.

# შავ-წითელი თეთრი დავიდსი

1978 წელს კორილიანო სკიავონეაში დაბადებული 177 სანტიმეტრი სიმაღლისა და 77 კილოგრამი წონის ნახევარმცველი ჯენარო გატუზო, რომელსაც ახლობლები რინოს ეძახიან, „მილანმა“ „სალერნიტანასგან“ იყიდა. მანამდე, იტალიის 21 წლამდელთა ნაკრების მუდმივი წევრი ერთიხანობა „გლაზგო რეინჯერსშიც“ კი თამაშობდა და ასაკთან შედარებით დიდი გამოცდილებაც შეიძინა. მის გლაზგოში „პერუჯადან“ გადასვლას წინ სკანდალი უძღოდა: იგი 17 წლისა იყო, როდესაც ბოსმანის წესის თანახმად შოტლანდიელებს მუქთად უნდა რგებოდა, მაგრამ პერუჯელთა პრეზიდენტმა გაუჩიმ თავი მოიკლა, მაგას პროფესიონალის ლიცენზიას არ მივცემო. საქმე სქოთებმა მოაგვარეს.

თავდადებულ გატუზოს ბრიტანეთში „მამაც გულს“ უწოდებდნენ, იტალიაში კი ამბობენ თეთრი დავიდსიაო.

„მილანში პიროვნულადაც და პროფესიული თვალსაზრისითაც ძალიან ბედნიერი ვარ“ — განაცხადა ამას წინათ „მილანის“ ბავშვობისდროინდელმა ქომაგმა.

**— მარცხენა ფრთაზე როგორ გრძნობთ თავს?**

— მართალი გითხრათ გარკვეულ სირთულეებს ვგრძნობ, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ნებისმიერ პოზიციაზე თამაში მიჯობს.

**— სანამ ახალ ამპლუაში გიხილავდით, თქვენს მარჯვენა ფრთაზე შესაძლო გადასვლის შესახებ ხშირად გვესმოდა. ბოლოს და ბოლოს როგორ გადაწყდა ეს ამბავი?**

— ეს აზრი მწვრთნელს მოუვიდა და მანვე გადაწყვიტა მისი ხორცშესხმა.

**— „მილანსა“ და 21 წლამდელთა ნაკრებში ერთნაირად თამაშობთ?**

— 21 წლამდელთა ნაკრებში ნაკლებს დავრბივარ. მაგალითად, როდესაც თამაში მარცხენა ფრთაზე ინაცვლებს მე მარჯვნივ ვრჩები, „მილანში“ კი დამატებითი მცველის ფუნქციაც მაკისრია. მოკლედ, შეტევის ჩაშლაზე ვაგებ პასუხს. თუ ჩაწოდებული ბურთის მოხელთებას ვერ შევძლებ, შესაძლოა გოლი გავუშვათ.

**— მილანური დერბის დროს კი, თითქოს, უფრო ხელ-ფეხ გახსნილი იყავით.**

— რაც უფრო მეტს ვთამაშობ, მით უფრო თამამი ვხდები. დერბიმდე ერთი თვე არ მეთამაშა და, ალბათ, ამიტომაც გამოვჩნდი შედარებით სალი და ლაღი. სინამდვილეში მე ხავიერ ძანეტის მეურვეობა მევალებოდა, ეს კი საათნახევრის განმავლობაში მთელ მოედანზე დაუსრულებელ სირბილს ნიშნავს.

**— ამასობაში „მილანის“ დაცვა გაცილებით სოლიდური გახდა.**

— აბსოლუტურად მართალია. გუნდი კარგად თამაშობს, რაც ჩვენს მიერ შექმნილი მომენტებითაც დასტურდება. შევას (ანდრეი შევჩენკოს) ხუთი შესაძლებლობა ეძლევა და აქედან სამი გააქვს. ასეთ პირობებში პატარ-პატარა პრობლემებზე წუწუნი სწორი არ იქნებოდა.

**— რა უპირატესობა აქვს „მილანს“ სხვა გუნდებთან შედარებით?**

— ჩვენ ჩემპიონთა ლიგასა და იტალიის თასზე აღარ ვთამაშობთ. მოკლედ, „ინტერისა“ არ იყოს, მხოლოდ სკუდეტოზე ვფიქრობთ, რაც, დამეთანხმებით, უპირატესობაა.

**— გულწრფელად გვიპასუხეთ, „მილანიდან“ წასვლა გულში არასდროს გაგივლიათ?**

— არასდროს. უბრალოდ მწვრთნელის დახმარებით საკუთარი ადგილის პოვნა მსურდა. როდესაც მას და კლუბის ხელმძღვანელებს ვესაუბრე, მითხრეს, რომ ჩემს გაყიდვას არც ფიქრობენ, რამაც სიამაყე შემმატა და უკეთ თამაშისკენ წამაქეზა. „მილანში“ რომ მოვდიოდი, 15-20 შეხვედრაში მონაწილეობაზე ვოცნებობდი. ახლა მიზანს მივაღწიე, მაგრამ არ ვკმაყოფილდები. რომ ვუყურებ გუნდში საქმეები როგორ მიდის, მეტის მიღწევა მინდა და თავს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობ.

**— ახალ თანაგუნდელებს როგორ შეეგუეთ?**

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ ფეხბურთელები, რომელთაც უამრავი ტიტული აქვთ მოგებული, ასეთი მოკრძალებულნი თუ იქნებოდნენ. უამრავ შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ ძნელია ზნე არ შეიცვალო. ყველამ, კაპიტნით დაწყებული, ხელი ჩამომართვა.

თარგმნა პაპუნა ძედიამ




მილანელ ჯენარო გატუზოს ჩელსელი ტორე ანდრე ფლო დაედევნა

# ამხანაგური მატჩები

### ჰოლანდია 2:1 გერმანია

1:0 კლუივერტი (15), 1:1 ციგე (22), 2:1 ზენდენი (28)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, კოკუ (ნუმანი 76), ბოგარდი, ზეედორფი, რ. დე ბური (მაკაი 65), დავიდსი, კლუივერტი, ვან ნისტელროი (ჰასელბაინკი 76), ზენდენი

გერმანია: კანი, ბაბელი, ციგე, ლინკე, სებესკენი (დაისლერი 45), იერემისი, შოლი, ჰამანი (ვოში 61), ბირჰოფი, მათეუსი, ნოივილი (ფ. ბაუმანი 76)

ძლივს. ჰოლანდიის ნაკრებს 1998 წლის ოქტომბრის შემდეგ არ მოეგო. მაშინ ნაკრებში ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა სადებიუტო მატჩში იმარჯვა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... მომდევნო თერთმეტ შეხვედრაში 9 ფრე და 2 წაგება — ჰოლანდიისთვის მიუღებელი შედეგია. გუშინ კი რაიკარდმა შვებით ამოისუნთქა...

ჰოლანდიელებმა უპირველესად მოედნის ცენტრში მოიგეს ბრძოლა. მათი ახლად გამომცხვარი კაპიტანი ედგარ დავიდსი და კლარენს ზეედორფი, იენს იერემისს და დიტმარ ჰამანს აშკარად სჯობდნენ. თავდასხმაში ჩინებულად თამაშობდნენ კლუივერტი და ვან ნისტელროი. ბრწყინვალე იყო კლუივერტის გოლი. ზენდენმა დავიდსის ზუსტი პასი მიიღო, ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და კარის მიმართულებით ჩააწოდა. ბურთთან კლუივერტი გაჩნდა და შეუჩერებლად დაარტყა. გერმანელებმა მალევე გაათანაბრეს. მათ ბოგარდის უყურადღებობით ისარგებლეს და ნოივილის პასით კრისტიან ციგემ ვან დერ სარს მარცხენა ძელთან ახლოს გაუტანა. კიდევ ექვსი წუთიც და ჰოლანდია ისევ დაწინაურდა. ამჯერად რონალდ დე ბურმა გაიყვანა კარგ პოზიციაზე ზენდენი და მანაც გამარჯვებისა შეაგდო.

მასპინძლებს კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ. კლუივერტს შეეძლო, კარის სიახლოვეს მყოფი ვან ნისტელროისთვის პასი მიეცა, მაგრამ თავად ამჯობინა დარტყმა და სიზუსტე ოდნავ დააკლდა. მატჩის მიწურულს კი ზენდენს არ გაუმართლა — ძელს გაარტყა.

დაბოლოს, აქამდე ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში გერმანიას ერთი მოგებით მეტი ჰქონდა. ახლა წონასწორობა აღდგა.

### უნგრეთი 0:3 ავსტრალია

0:1 ლაიბატი (12), 0:2 სკოკო (74), 0:3 მური (90)

უნგრეთი: ბაბოში, შებოკი (დრაგონერი 73), ბოდოგი, ჰრუტკა, მატიუში, ლენდვაი, ვინცე, ბურკანი, ზავადსკი (დომბი 53), კლაუში, ნაგი

ავსტრალია: ბოსნიჩი, მუსკატი, მური, ლაიბატი, ვიდმარი, კორიცა (ფოსტერი 65), სკოკო, ოკონი, ტიატო (ლაზარიდისი 81), ვიდუკა, კიუელი (აგოსტინო 46)

ეს მატჩი ორი მიზეზის გამო არის საინტერესო. ერთი ის, რომ უნგერთი საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ისინი ერთ ჯგუფში არიან. მეორეც, შეხვედრის მსვლელობისას მინდორზე ფეხბურთელებზე მეტი თევზები იყო. დიახ, თევზები, რომლებიც ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ მისულ მაყურებლებს ბლომად მიეტანათ. თავის მხრივ, თევზთცვენასაც ორი მიზეზი ჰქონდა — საფეხბურთო და ეკოლოგიური. ეკოლოგიურით დავიწყოთ.

სამიოდე კვირის წინ უნგრულ — ავსტრალიურმა ერთობლივმა ფირმამ, რომელიც ოქროს მოპოვებით არის დაკავებული, მდინარე ტისში მომწამვლელი ნივთიერებები ჩაუშვა. შედეგი კატასტროფულია. მდინარეში თევზი გაწყდა. მოიწამლა დუნაიც, რადგან ტისი სწორედ მას ერთვის. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ უნგრელი ქომაგები ავსტრალიელ ფეხბურთელებს დამპალი თევზებით გაუმასპინძლდნენ.

თუმცა, არა მხოლოდ ავსტრალიელებს. უნგრელ ფეხბურთელებსაც ხშირად უხდებოდათ ტრიბუნებისკენ ცქერა, ემანდ ჩვენც არ მოგვხვდესო. მიხვდებით, გულშემატკივართა წყრომა თავისიანების უსუსურმა თამაშმა გამოიწვია, რაც საბოლოო ანგარიშზეც აისახა.

დღეს უნგრეთის „დიდი გუნდიდან“, რომელიც თავის დროზე რაღაც სასწაულით ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, აჩრდილიღა დარჩა. მეკარე ბაბოშის კარი პირველად ლაიბატმა დალაშქრა. ეს მე-12 წუთზე მოხდა. ქომაგებს გული დასწყდათ, თუმცა თამაშის შემობრუნების იმედი არ დაუკარგავთ. სკოკოს მეორე გოლის შემდეგ კი ისინი მიხვდნენ, უნგრეთი მომგები არ იყო და თევზების წვიმა გაძლიერდა. უნგრელი ფეხბურთელები ამან საბოლოოდ გატეხა და მატჩის ბოლო წუთზე მესამეც გაუშვეს.

### იტალია 1:0 შვედეთი

1:0 დელ პიერო (79 პ)

იტალია: ბუფონი, ფერარა (იულიანო 76), ნესტა, კანავარო, პესოტო, ამბროზინი (გატუზო 46), ტაკინარდი (ლოკატელი 80), დი ფრანჩესკო (დელ პიერო 46), ფიორე (პანუჩი 63), ვიერი (ფ. ინძაგი 60), მონტელა (ტოტი 46)

შვედეთი: ჰედმანი, გუსტაფსონი (მელბერგი 46), ბიორკლუნდი, სუნდგრენი, პ. ანდერსონი, შვარცი (არვიდსონი 46), ალექსანდერსონი, დ. ანდერსონი, ა. ანდერსონი (სვენსონი 65), კ. ანდერსონი (მიალბი 46), პეტერსონი

23 თებერვალს პალერმოში „სკუადრა აძურას“ რვათვიანი მოუგებელი სერია დასრულდა, რაც შვედებთან ამხანაგური მატჩის 79-ე წუთზე ალექს დელ პიეროს მიერ გატანილმა ერთადერთმა პენალტმა განაპირობა. შვედთა მეკარემ მაგნუს ჰედმანმა თავის საჯარიმოში ფრანჩესკო ტოტი წააქცია და მთავარმა არბიტრმა სკანდინაველები თერთმეტმეტრიანით დასაჯა.

იტალიელთა თავკაცმა დინო ძოფმა მატჩის დროს საკმარისად ფეხბურთელები გამოსცადა. შვიდი შეცვლა ამ ფაქტზე უდავოდ მეტყველებს.

მატჩის პირველ წუთებში აპენინელები და განსაკუთრებით მათი მცველები ოდნავ დაბნეულად და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, შვედებმაც სუსტ წერტილს მიაგნეს და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, თუმცა მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.



უნგრეთი — ავსტრალია 0:3. მასპინძლებმა დანაქადნი აასრულეს

„სკუადრა აძურა“ მალე მოეგო გონს და მეტოქეს ჩვეული, დინჯი თამაში მოახვია თავს. შეხვედრაც საკმაოდ მონოტონური გახდა, გუნდები არცთუ ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

ერთ-ერთი ასეთი იშვიათი შანსი კრისტიან ვიერის მიეცა, როდესაც ვინჩენცო მონტელასგან კარგი პასი მიიღო. იგი ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ ბურთი ვერ დაიმორჩილა და მომენტი გააფუჭა.

მე-60 წუთზე ძოფმა ვიერი საერთოდ გამოცვალა და მის მაგივრად მინდორზე ფილიპო ინძაგი შეუშვა.

79-ე წუთზე, როგორც მოგახსენეთ, შვედთა მეკარემ მაგნუს ჰედმანმა „გამოიჩინა თავი“, თავის საჯარიმოში ფრანჩესკო ტოტი წააქცია და პენალტითაც დაისაჯა.

ფილიპო ინძაგისა და ალექს დელ პიეროს შორის მცირე თათბირის შემდეგ თერთმეტმეტრიანის შესრულება დელ პიერომ ითავა. მან ზუსტად დაარტყა და იტალიელებს გამარჯვება მოუტანა.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოხვდა და 19 ივნისს კიდევ შეხვდება ერთმანეთს.

### ინგლისი 0:0 არგენტინა

ინგლისი: სიმენი, კიოუნი (რ. ფერდინანდი 56), საუთგეიტი, ს.კემპბელი, დაიერი (ფ. ნევილი 59), უაიზი, ბექემი (პარლოუ 73), სქოულზი, უილკოქსი, შირერი (ფილიპსი 78), ჰესკი (კოული 79)

არგენტინა: კავალიერო, რ. აიალა, არუბარენა (ვივასი 67), სენსინი (პოჩეტინიო 35), სიმეონე, შამოტი, კილი გონსალესი, ვერონი, ხ. ძანეტი, ბატისტუტა (კრესპო 57), ორტეგა (გუსტავო ლოპესი 90)

მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე ჩატარებული დრამატული მატჩის შემდეგ ინგლისი და არგენტინა ამხანაგურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

მართალია, პრინციპულობითა და ინტრიგით „უემბლიზე“ გასამართი მატჩი ორი წლის წინანდელს ვერ შეედრებოდა, მაგრამ გულშემატკივარი ლამაზ თამაშს მაინც ელოდა. იმედიც ნაწილობრივ გამართლდა. მართალია, სტადიონზე შეკრებილმა 74 ათასმა ქომაგმა მთელი 90 წუთის მანძილზე გოლი ვერ იხილა, უშელავათო ბრძოლის შემყურემ ალბათ მაინც ნასიამოვნებმა დატოვა „უემბლი“.

ინგლისის ნაკრები ევრო 2000-სთვის ემზადება, კევინ კიგანი ახალი ფეხბურთელების ძიებაშია. სწორედ ამით აიხსნება ბრიტანელთა რიგებში რამდენიმე დებიუტანტის გამოჩენა.

კიერონ დაიერი, დენის უაიზი, რეი პარლოუ, ჯეისონ უილკოქსი, კევინ ფილიპსი, ემილ ჰესკი ინგლისის ნაკრებში იშვიათად ხვდებოდნენ, ზოგიც გუნდის მაისურას პირველად ელირსა.

მატჩი შეუცვლელად ჩაატარა ახალწვეულმა ჯეისონ უილკოქსმა და თავისი თამაშით მთავარი მწვრთნელი ალაფრთოვანა „ვფიქრობ, უილკოქსი დღეს ბრწყინავდა, ნამდვილად მოხარული ვარ — განაცხადა კიგანმა და დასძინა — დენის უაიზიც მომეწონა, ემილ ჰესკი კი... ხშირად გინახავთ სენსინისთან ორთაბრძოლაში გამარჯვებული ფეხბურთელი? ჰესკიმ ეს მოახერხა“.

მართლაც, ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ემილი პირველად გამოჩნდა (წინა ოთხ თამაშში იგი შეცვლაზე შედიოდა) და გამოცდილ სენსინისაც დიდი თავსატეხი გაუჩინა.

საერთო ჯამში კიგანი კმაყოფილი დარჩა: „ვთვლი, რომ დღევანდელი დღე წარმატებული იყო, ბევრი რამ ვისწავლე, ასე რომ, შეხვედრა უთუოდ სასიკეთოდ წაგვადგება“.

არგენტინელთა მხრიდან ხუან სებასტიან ვერონისა და არიელ ორტეგას აქტიურობაა აღსანიშნავი, რომლებმაც მეტოქე მცველები საკმაოდ გააწვალეს. საგოლე მომენტი თითქმის არ შექმნია არგენტინელთა მთავარ დამრტყმელ ძალას, გაბრიელ ბატისტუტას და 57-ე წუთზე იგი ერნან კრესპომ შეცვალა.

მატჩის დაწყების წინ ინგლისში სამწუხარო ცნობა გავრცელდა, 85 წლისა გარდაიცვალა მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდა, სერ სტენლი მეტიუზი. „უემბლიზე“ შეკრებილმა ქომაგმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას, ხოლო ფეხბურთელები შავი სამკლაურებით გამოვიდნენ მინდორზე.



ინგლისი — არგენტინა 0:0. „ძველი ნაცნობები“ დევიდ ბექემი (№7) და დიეგო სიმეონე

# ვაი და უი

**ლონდონი. ინგლისი. AXA CUP.**
**დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 800 ათასი $**

ლონდონის პირველობამ წლეულს ადგილმდებარეობა შეიცვალა. აქამდე ორი წლის მანძილზე იგი ტემზის სანაპიროზე, „ბეთარსის" პარკში სახელდახელოდ აგებულ ცირკის არენის მსგავს კარავში იმართებოდა, მაგრამ ჩოგბურთი ცირკი არ არის და ორიგინალური დარბაზი ყველას როდი მოსწონდა: მის თავზე გადაფარებული ბრეზენტი ქარში ისე ხმაურობდა, ბურთის დარტყმის ხმა კი არა, მსაჯის სიტყვებიც არავის ესმოდა.

ორგანიზატორებმა პირველობა „ლონდონ არენაზე" გადაიტანეს, მაგრამ გზად, ეტყობა, შარშანდელი მაყურებლები დაეკარგათ და ახლა ახალი პრობლემა გაუჩნდათ: ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად, მატჩებზე თითქმის არავინ დადის.

საქმეს ნამდვილად არ უშველის ის, რომ ტურნირზე მოასპარეზე სამი მასპინძლიდან მეორე წრეში მხოლოდ ერთმა გააღწია.

ინგლისის მესამე ჩოგანი ჯემი დელგადო სულაც ისე გამოეთიშა ასპარეზობას, ჩოგანი არ მოუქნევია. მან რამდენიმე დღის წინ მხრის ტრავმა მიიღო და შვედ იონას ბიორკმანთან თამაშიც ვერ შეძლო.

თითქმის ორი საათი იბრძოლა ალბიონის მთავარმა იმედმა, ტიმ ჰენმანმა (3), მაგრამ არგენტინელ მარიანო ზაბალეტასთან მაინც ვერაფერს გახდა.

გასულ კვირაში როტერდამის ტურნირის ფინალში გასულმა და თავისივე თქმით, „ცხოვრებაში საუკეთესოდ მოთამაშე" ინგლისელმა თანამემამულეებს იმედი გაუცრუა. მან მატჩი ხეირიანად დაიწყო, 5:4-ზე ორი სეტპოინტიც ჰქონდა, მაგრამ აქილევსის ქუსლი-არასტაბილური ფორჰენდი ყველაზე შეუფერებელ დროს წამოსტკივდა და საბოლოოდ დაღუპა კიდეც.

პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე წაგების შემდეგ ჰენმანი უფრო ინერციით აგრძელებდა ბრძოლას და იუნიორებში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ზაბალეტაც მალე აცეკვდა ტრიუმფის ნიშნად 7:6 (7:3), 7:5.

„ტიმს დიდი ხანია, ვიცნობ და მისმა დამარცხებამ ძალიან გამახარა. შეიძლება ის ოდნავ დაღლილი იყო როტერდამში თამაშის გამო, მაგრამ მეც შესანიშნავად გავისარჯე" — აღნიშნა ზაბალეტამ, რომელმაც ინგლისელებს ფეხბურთში 0:3 დამარცხებაც უწინასწარმეტყველა არგენტინის ნაკრებთან.

„ზოგიერთი თქვენგანი, მგონი ჩემზე მეტადაა იმედგაცრუებული — ასე მიმართა ჟურნალისტებს ჰენმანმა — მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ცუდად ვითამაშე, საერთო ჯამში ურიგო ჩოგბურთელი როდი ვარ. ეს სამყაროს დასასრული არ არის. კონცენტრაცია არ მაკლდა, მაგრამ როგორღაც მნიშვნელოვან მომენტებში არაფერი გამომდიოდა."

ჰენმანით იმედგაცრუებულთა რიგებს წინა დღით მისი კოლეგა გრეგ რუზეცკიც შეუერთდა, ოღონდ სულ სხვა მიზეზის გამო. რუზეცკის მაისში, როლან გაროსის წინა კვირაში მსოფლიოს გუნდურ თასზე სურდა თამაში, მაგრამ თანამემამულე ვერ დაითანხმა, ჰენმანის გარეშე კი ინგლისის ნაკრები 8 საუკეთესოთა კატეგორიაში ვერ ხვდება.

„ეს საფრანგეთის ღია პირველობისთვის შესანიშნავი რეპეტიცია იქნებოდა. მე მსურდა დიუსელდორფში თამაში, მაგრამ ტიმს — არა. ეტყობა, მას სლემის წინ მხოლოდ ვარჯიში ურჩევნია. ეს მისი არჩევანი, მისი პრეროგატივაა და ვერაფერს ვიზამ" — დაიჩივლა ინგლისელმა, რომელმაც მსოფლიო თასზე გაკაჟების შედეგად შარშან პარიზში მეოთხედფინალს უწია.

საერთოდ, ზემოხსენებული ტურნირი ინგლისელთა ბანაკში დიდი ხანია, უთანხმოების მიზეზად იქცა. 1997-ში იქ თამაშზე უარით რუზეცკიმ ჰენმანი მოიმდურა, მომდევნო სეზონში კი უკვე პირიქით მოხდა.

რუზეცკიმ დევისის თასის თანაგუნდელის გარდა ლონდონში სხვა საწუწუნო თემაც გამონახა — კლასიფიკაციის ახალი სისტემა. სრული სისულელეა. ყველაზე ცუდი იდეა საუკეთესო ჩოგბურთელების დამარცხებისთვის საბონუსე ქულების მინიჭების გაუქმებაა. როგორ შეიძლება მაგნუს ლარსონმა, რომელმაც მემფისის ტურნირი ერთი ხეირიანი მოწინააღმდეგის ძლევის გარეშე მოიგო, იმდენივე ქულა მიიღოს, რამდენიც სედრიკ პიოლინმა. მან ხომ როტერდამში კიფერი, გოლმარი და ჰენმანი დაამარცხა".

რუზეცკიმ პირველ წრეში ზედმეტი ოფლის ღვრის გარეშე მოუგო ჩია, სათვალიან ფრანგ არნო კლემანს — 6:3, 6:4.

ყველაზე დიდი მოულოდნელობის ავტორი კი 18 წლის შვეიცარიელი როჯერ ფედერერი შეიქმნა, რომელმაც მეორედ განთესილ გერმანელ ნიკოლას კიფერს აჯობა — 6:2, 6:3.

ჩოგბურთში ბოლო ორი სეზონში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა — ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, რუსი მარატ საფინი, ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, რომელთაც ამ ხნის მანძილზე საკმაო წარმატებებს მიაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ ფედერერს ჯერჯერობით შედარებით მოკრძალებული შედეგები აქვს, ყველაზე დიდ მომავალს სპეციალისტები (მათ შორის ლეგენდარული ბიორნ ბორგიც) სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ.

საოცარია, სამხრეთაფრიკული წარმოშობის, პატრიკ რაფტერის ვარცხნილობისა და პიტ სამპრასის სტილით მოთამაშე ახალგაზრდა ჩოგბურთელმა სულ რამდენიმე თვეში რამხელა პროგრესი განიცადა. შარშანდელთან შედარებით ის გაცილებით მძლავრად აწოდებს, სუსტი ბექჰენდი მძლავრ იარაღად გადააქცია და მნიშვნელოვან მომენტებშიც აუღელვებლად ირჯება.

ერთადერთ სისუსტედ ფედერერისთვის ჯერჯერობით არასტაბილური თამაში რჩება, თუმც „ნაიკის" ნაცვლად „ადიდასის" სამოსში პირველად მოთამაშე კიფერს ხეირი არც ამან დააყარა: ერთ აცილებულს შვეიცარიელი ორ შესანიშნავ დარტყმას უნაცვლებდა და მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს პატარა ბავშვივით დაარბენინებდა აქეთ-იქით.

„თავადაც არ ველოდი, თუ ასე იოლად მოვიგებდი. კარგი იქნება, სულ ასე ვთამაშობდე" — აღნიშნა მოგვიანებით შვეიცარიელმა.

**პირველ წრეში:** **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:3, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (6, საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:5); **ტომას ენკვისტი** (4, შვედეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:1, 6:4; **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 7:5, 6:2.

**მეხიკო. მექსიკის ღია პირველობა.**
**თიხნარი.**
**საპრიზო 800 ათასი $**

საჩოგბურთო კალენდარში მეტად უდროო დროს ჩაკვეხებულ სეზონის პირველ სათიხნარო ტურნირზე, თითქმის ორწლიანი განდეგილობის შემდეგ, დიდ ჩოგბურთს სესხი ბრუგერა დაუბრუნდა. თუმც როლან გაროსის ორგზის ჩემპიონმა მაყურებლებს არც ამჯერად შეაწყინა თავი და პირველივე წრეში წააგო ბრაზილიელ ფერნანდო მელიგენისთან 6:7 (4:7), 6:7 (3:7).

**პირველი წრე:** **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:4, 3:6, 6:3. **შტეფან კუბეკი** (4, ავსტრია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:1, 6:3; **ფრანკო სკილარი** (7, არგენტინა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:1; **ორლინ სტანოიჩევი** (ბულგარეთი) — არნო დი პასკუალე (8, საფრანგეთი) 6:1, 7:5; **გასტონ გაუდიო** (ესპანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (5, ესპანეთი) 6:3, 6:1

**ოკლაჰომა სიტი. აშშ.**
**IGA CLASSIC ჰარდი.**
**საპრიზო 170 ათასი $**

**პირველ წრეში:** **ამანდა კუტცერი** (3, სამხრეთ აფრიკა) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 7:5, 6:2; **ემი ფრეზერი** (4, აშშ) — ლილია ოსტერჰოლი (აშშ) 4:6, 6:2, 6:3; **სილვია პლიშკე** (7, ავსტრია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:1, 6:3; **ლაიზა რეიმონდი** (6, აშშ) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 5:7, 7:6 (7:4).

**ავთანდილ სვანიძე**



ტიმ ჰენმანი

REUTERS



მარიანო ზაბალეტა



# გენტი ევროპის ცენტრი

დღეს, ბელგიურ გენტში მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. ქალაქის სამძლეოსნო სარბიელზე ბევრი კონტინენტის ყველა კუთხიდან ჩასული მოწინავე მორბენლები, სიგრძესა და სიმაღლეზე მხტომელნი, სხვადასხვა ფორმის ნივთთა მტყორცნელი და მეჭოკენი ტრიბუნებზე მაყურებელთა მოზღვავებას ელიან — გენტში ხომ ევროპის თითქმის მთელი ელიტა გამოვა რამდენიმე გამონაკლისის გარდა. მრავალი ნაკრების შემადგენლობაში ისეთ მძლეოსნებს იხილავთ, რომელთა სახელებისა და ფოტოების ნაკლებობას მსოფლიოს სპორტული პრესა აშკარად არ განიცდის. ერგასზე მეტი სპორტსმენით ეწვივნენ ბელგიას ფრანგები, რუსები, გერმანელები... არცთუ ბევრად ნაკლები ჰყავთ ბრიტანელებს, ჰოლანდიელებს და იტალიელებს... შემდეგ კი მოდიან რუმინეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, უკრაინა... ახლა კი ვარსკვლავებზეც ვთქვათ. რუმინელ გაბრიელა საბოს წარდგენა არ სჭირდება, არც ბრიტი ჯეისონ გარდნერია მაინცდამაინც უჩინარი ფიგურა, აი, ფრანგ ენიკ ბარბერზე კი მცირე ხნით უნდა შევჩერდეთ, რადგან იგი სულ ცინცხალი ინფორმაციის თანახმად, ჩემპიონატზე არ გამოვა. ამგვარი საუბრები ადრეც ისმოდა, ვითომ შვიდჭიდში მსოფლიოს ჩემპიონი თეძოს იტკიებს და თუ ბოლომდე ვერ გამოკეთდა, მისი ასპარეზობა საეჭვოაო. ახლა კი გაირკვა, რომ ბარბერის თეძოს ჭირვეულობა ძალაში დარჩენილა და რამდენადაც ფრანგისთვის სიდნეის ოლიმპიადა ათ ევროპირველობაზე მეტს ნიშნავს, საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ მას დასვენების საშუალება მისცა. ფრანგთა პრობლემები ამით არ ამოწურულა. მათ მეორე იმედს, 100 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონს კრისტინ არონს თეძო არა, მაგრამ საზარდული კი მოშლია და თუმც გენტში ჩასულა, შეიძლება იმანაც ვერ ირბინოს.

ყველა ნაკრებს ერთი-ორი რჩეულისა მაინც ეიმედება და თავიანთი ჯილდოების ყულაბის შესავსებად უპირველესად მათ შეჰყურებენ. ფრანგებზე გითხარით, რუმინელთათვის ასეთი სპორტსმენი უკვე ნახსენები საბოა, ჩეხებისთვის — ათჭიდში მსოფლიოს რეკორდსმენი ტომაშ დვორჟაკი, რუსთათვის — მსოფლიოს ჩემპიონები, ვიაჩესლავ ვორონინი (სიმაღლეზე ხტომა) და ნატალია ნაზაროვა (400 მ). ყველაზე ფართო ფრონტით გენტში გერმანელები შეუტევენ. სამხტომელი ჩარლზ ფრიდეკის, ბირთვის მკვრელი ასტრიდ კუმბერნუსისა და სიგრძეზე მხტომელი ჰაიკე დრექსლერის თამადობით მათი ყველაზე ძლიერი ნაკრები, გუნდური პირველობის იოლ მოგებასაც გეგმავს.

**დავით გულუა**



ევროპის ჩემპიონატს თეძომტკივანი ანუკ ბარბერი გამოაკლდება



ჰაიკე დრექსლერი

# ქუთაისური კალათბურთის ქელეხი?!

*როგორც გახსოვთ, გასული წლის დამლევს საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საგანგებო რეფერენდუმის შედეგად დაასახელა მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველი მოთამაშეები, სიმბოლური ნაკრები, მწვრთნელები, მსაჯები.*

*რეფერენდუმმა კიდევ ერთხელ აღიარა ქუთაისური საკალათბურთო სკოლის ღვაწლი ქვეყანაში ამ თამაშის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. თავად განსაჯეთ: ხუთ უძლიერეს მოთამაშეს შორის რიონისპირა ქალაქში აღზრდილი ერთბაშად სამი სპორტსმენი მოგვევლინა — ოთარ ქორქია, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია. ამათ გარდა სიმბოლურ ნაკრებში ხვდა ადგილი ნიკოლოზ დერიუგინს, ხოლო საუკეთესო მწვრთნელთა სიაში პირველ ნომრად ქუთაისელი დამრიგებელი სულიკო თორთლაძე დასახელდა. ოთარ ქორქია საქართველოს საუკუნის კალათბურთელად აღიარეს.*

*ქუთაისელებს სხვაც ბევრი აქვთ საამაყო. თავისი კვალი დატოვეს ქართულ კალათბურთში ალეკო და შოთა (კიჭი) მესხებმა, შოთა ქორქაშვილმა, ჯუმბერ ნიჟარაძემ, ოთარ სულაბერიძემ, კუკური არლანაშვილმა, ანზორ საკანდელიძემ, თინათინ საბაძაშვილმა, გელა დარსაძემ, ზურაბ გრძელიძემ, ირაკლი ვაშაკიძემ და კიდევ ვინ მოთვლის რამდენმა.*

*იყო დრო, ქუთაისის ვაჟ კალათბურთელთა გუნდი ტოლს არ უდებდა თბილისისას, ეგ კი არა, საკავშირო სარბიელზეც ბევრჯერ უსახელებია თავი.*

*ან ქალთა გუნდები გავიხსენოთ. ჯერ „ათინათი", მერე „მეობა", რომელმაც ევროსარბიელზეც სცადა ბედი, ორჯერ იასპარეზა ლილიანა რონკეტის თასის გათამაშებაში.*

*დიახ, იყო დრო, დუღდა და გადმოდუღდა ქუთაისში საკალათბურთო ცხოვრება. ძალიან შორს წაგვიყვანს ამაზე საუბარი.*

*მართლაც საამაყო წარსული, უმდიდრესი ტრადიციები...*

*ტრადიციებს, მოგეხსენებათ, გაფრთხილება უნდა. უნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისში დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება. სამარცხვინო ამბავი სჭირს ქალაქს, კალათბურთი აღარავის ადარდებს. თანდათან კნინდება, სულს ღაფავს ერთ დროს ქუთაისელთა უსაყვარლესი თამაში. ბოლო ოთხი წელია, მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. უსახსრობის გამო ქუთაისელი ვაჟები ეროვნულ სარბიელს ჩამოსცილდნენ. ქალაქს აღარც ბავშვთა ლიგაში გამოჰყავს გუნდები. მავანთა გულგრილობას შეეწირა „მეობას" სიმპატიური გუნდი.*

*მეტის ატანა აღარ შეიძლება — ასეთია ქალაქში შემორჩენილ კალათბურთის სპეციალისტთა აზრი. ვაჟ კალათბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ზაურ დოლაბერიძე, მისი თანაშემწე შოთა ჯავახიშვილი და გოგონებთან მომუშავე ამაგდარი დამრიგებელი ზაურ ჩარკვიანი, სასაუბროდ დიდი ყოყმანის შემდეგ დაგვთანხმდნენ.*

***ზაურ დოლაბერიძე:***

— რაზე უნდა ვილაპარაკოთ? პატრონი ჩვენ არ გვყავს და, საერთოდ, რას ვსაქმიანობთ, არავის აინტერესებს. ყველაფერს თავი დავანებოთ: ქუთაისის გუნდი რომ ეროვნულ ჩემპიონატში არ მონაწილეობს, დასაშვებია? რა გახდა ასეთი უსაშველო, რა ასიათასები ჩვენ გვინდა. ფორმა, მგზავრობის და სასტუმროს ხარჯები. სხვას არაფერს ვჩივით. მაგრამ არც ესაა და, რა ყოფაშიც ვართ, ყველა ხედავს. მეოთხე წელია ქვეყნის პირველობაზე გუნდი ვერ გაგვყავს. ბავშვთა ლიგა სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება და არც იქ ვმონაწილეობთ.

—ძველ დროს შევნატრი. სწორად გამიგეთ. მარტო ფაქტებს მოვიყვან. 70-იან წლებში ახალგაზრდულ სპორტსკოლაში, რომლის დირექტორი ცხონებული სულიკო თორთლაძე გახლდათ, კალათბურთის 19 ჯგუფი მუშაობდა. 22 ჯგუფი იყო სპორტთამაშების კომპლექსურ სკოლაში. გარდა ამისა, კალათბურთის სექციები არსებობდა ყველა სპორტსაზოგადოებასთან — „სპარტაკთან", „დინამოსთან", „განთიადთან", „ლოკომოტივთან". ყველა საშუალო სკოლას, ტექნიკუმს, უმაღლეს სასწავლებელს თავისი გუნდი ჰყავდა. 20-25 წლის წინ ქალაქში ერთდროულად 1500-1600 ბავშვი თუ მოზარდი ეუფლებოდა თამაშს. ახლა რა მდგომარეობაა? სასაცილო, სატირელი რომ არ იყოს. ექვსი ჯგუფილა შემოგვრჩა სპორტთამაშების სკოლაში. სულ ეს არის. მრცხვენია და გული მტკივა.

— ოთხი წლის წინ ნაყიდი ექვსი ბურთი დაგვრჩენია. ფორმა ჩვენ არა გვაქვს. დარბაზი საშინელ დღეშია. ავდარში აქ არ შემოისვლება. ჭერიდან წყალი ჩამოდის. ვის არ მივმართეთ, რა განცხადებები არ ვწერეთ. თქვენც არ მომიკვდეთ, თავი არავის შეუწუხებია. დასახმარებლად კი არა, დარბაზამდეც არავინ მოსულა.

— კალათბურთის ფედერაცია ქალაქში კარგა ხანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ჩვენ არაფერში გამოგვდგომია.

— ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე 80-იან წლებში მშვენიერი სპორტული კომპლექსი აშენდა. იქ საკალათბურთო დარბაზიც იყო. მავანთა დანაშაულებრივმა გულგრილობამ ისიც შეიწირა. სახურავის გადმოთოვას რა უნდოდა? დარბაზი დასანგრევად გაიმეტეს. პასუხი დღემდე არავისთვის მოუთხოვიათ.

— ცხონებული სულიკო თორთლაძე სულ იმაზე ოცნებობდა, ქალაქს ერთი ნორმალური საკალათბურთო დარბაზი ჰქონოდა. დიდი მწვრთნელის ნატვრა მის სიცოცხლეშივე უნდა ახდენილიყო. 1968 წელს ბალახვანში ასსაფეხურიან კიბესთან სწორედ ასეთი 1200-ადგილიანი დარბაზის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, მშენებლობაც დაიწყო და... მალევე შეჩერდა. მერე გაგრძელდა და ისევ შეწყდა. ასე რამდენჯერმე. ფაქტი ის არის, რომ 32 წლის წინ დაწყებული საქმე ჯერაც დაუმთავრებელია. გაკეთებულიც უმოწყალოდ ნადგურდება. ნახევრადაშენებული დარბაზი უპატრონო ძაღლების თავშესაფრად იქცა, ირგვლივ ისეთი სიბინძურეა, თვალს არ შეეხედება.

— დღემდე ვერ მივაგენით გამოსავალს. რას იზამ, არავის უნდა კალათბურთით თავის შეწუხება, თუმცა იმედს არ ვკარგავთ. გვინდა საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" პრეზიდენტი მიხეილ ქორქია დავითანხმოთ სათანამშრომლოდ, ქალაქში მისი სახელობის საკალათბურთო სკოლა დავაარსოთ. კალათბურთელი იყო და, ალბათ, გაგვიგებს. გადარჩენის სხვა გზას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ.

— სადაცაა, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში დაიწყება თამაშები, ჩვენ კი ჯერაც არ ვიცით, ჩავებმებით თე არა გათამაშებაში. მართალია, ფინანსურ დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ დაპირებებით ადრეც ვიყავით სავსე...

— ქალაქმა თუ მოინდომა, კარგ გუნდს მოვუყრით თავს. ჩვენივე აღზრდილებით ვითამაშებთ. ბევრი მათგანი დედაქალაქურ გუნდებშია გაფანტული. ადგილზეც გვყავს ბიჭები. დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვის „სპარტაკში" მივავლინეთ გასინჯვაზე მიხეილ ბერეკაშვილი. ეს ბიჭი 202 სანტიმეტრი სიმაღლისაა, მოძრავი, ტექნიკური. კარგი კალათბურთელი უნდა დადგეს. „სპარტაკის" ვიცე პრეზიდენტი ზურაბ გრძელიძე გახლავთ და მისგან შევიტყვეთ, მიშიკოს, ალბათ, დაიტოვებენ. პერსპექტიული ბიჭია ბუბა კვიმსაძე. მასაც სურს „სპარტაკში" სცადოს ბედი. როგორ უნდა დავუშალოთ! ხომ იცით, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ჯერჯერობით ასეა და მერე ვნახოთ.

***შოთა ჯავახიშვილი:***

— ოც წელზე მეტია მწვრთნელად ვმუშაობ. უკიდურესად გვიჭირს. მართლა სამარცხვინო რამაა — ქუთაისს ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი არ ჰყავს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ქალაქმა ან საერთოდ უნდა თქვას უარი კალათბურთზე, ან უნდა გამოძებნოს მისი გადარჩენის გზები. განსაკუთრებულს არაფერს მოვითხოვთ, ელემენტარულ ყურადღებას, როგორც ამბობენ, საარსებო მინიმუმს. ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ. კი ბატონო, ბავშვებს ამ რთულ პირობებშიც როგორმე არ დაგვეკარგა ხელი, ვავარჯიშებთ, მაგრამ აღსაზრდელი თუ შეჯიბრზე ვერ წაიყვანე, არ ათამაშე, ისე როგორ დაოსტატდება. ამიტომაა, რომ ბევრი გაგვირბის, საერთოდ იკარგება კალათბურთისთვის. ძალიან საწყენია. ასეთ სიტუაციაში ჩვენ შრომას ფასი არა აქვს, მაგრამ იმედით ვცოცხლობთ. იქნებ მოგვხედონ და, დამერწმუნეთ, ქუთაისში კვლავაც გაიზრდებიან ქორქიების, საკანდელიძის თუ დარსაძის დარი მოთამაშეები.

***ზაურ ჩარკვიანი:***

— მწვრთნელობის 40-წლიანი სტაჟი მაქვს. სულ ბავშვებთან მიწევდა მუშაობა. ტრაბახში ნუ ჩამითვლით და ჩემს ხელში არაერთი ცნობილი კალათბურთელი გაიზარდა. სხვებზე რომ არ ვთქვა, ნიკოლოზ დერიუგინი ჩემი მოწაფე გახლდათ. სანამ კალათბურთს ყურადღება ექცეოდა, მწვრთნელები საქმეს თავს ვართმევდით, მოვარჯიშეთა ნაკლებობაც არ იყო. პატარები ხალისით მოდიოდნენ ჩვენთან. სამწუხაროდ, ბოლო ათი წელია მდგომარეობა გართულდა. მესმის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სიდუხჭირეა, მაგრამ ასეც ხომ არ შეიძლება. რამდენიმე წლის წინ უმუშევარიც დავრჩი. ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტდარბაზი, სადაც რამდენიმე ჯგუფი ვარჯიშობდა, საქეიხედ გადააქციეს.

— ახლა ცოტა იმედი მომეცა, გოგონებს ვავარჯიშებ. პერსპექტიული გუნდია. შარშან სამედიცინო ინსტიტუტ „ქუთაისის" მესვეურებმა აიღეს მასზე შეფობა. კლუბი (პრეზიდენტი გოგი არველაძე) ჩამოყალიბდა და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ. შემოდგომაზე გოგონებს შორის საქართველოს პირველობაზე მივიღეთ მონაწილეობა და ოთხ თბილისურ გუნდს ვაჯობეთ, ფინალში ნაკრებიც კი დავამარცხეთ. გუნდის ორი წევრი ინსტიტუტში უფასოდ სწავლობს, დანარჩენები ამავე ინსტიტუტთან არსებული კოლეჯის მოსწავლეები არიან და მათაც არ ახდევინებენ სწავლის ქირას. ეგ კი არა, ყველას, მართალია, მცირე, მაგრამ ხელფასიც კი ეძლევა. ინსტიტუტის რექტორატი მზრუნველობას იჩენს კლუბისადმი, ოღონდ ესეცაა, თუ გასაქანი არ მოგვეცა, შეჯიბრებებში მონაწილეობა მაქვს მხედველობაში, შესაძლოა, შრომამ ფუჭად ჩაიაროს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ქალთა ჩემპიონატის განახლებაზე უნდა იფიქროს. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ დაპირებებს ვისმენთ. არადა, საოცრად ნიჭიერი გოგონები გვეზრდება. თამამად ვიტყვი, რამდენიმე მათგანს არც ახლა აკლია ოსტატობა და დიდი კალათბურთის სათამაშოდ მზადაც არის. ეს პირველ რიგში ნანა ნემსაძეს, ნინო ძოწენიძეს, დებს ქეთინო და თამუნა ჭურაძეებს ვგულისხმობ.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**



ძველად. ქუთაისის ცენტრში ღია საკალათბურთო მოედანზე ყოველთვის ხალხმრავლობა იყო



დღეს. „ევროპული ყაიდის ეროვნულ ქალაქში" კალათბურთისადმი დამოკიდებულებაზე ეს სურათიც კარგად მეტყველებს

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

# ევროპის ჩემპიონატი 2001

შესარჩევი ეტაპი. IV ტური. 23 თებერვალი




REUTERS ლუფთეხიდან

შვედეთი — ისრაელი 61:75. შვედი იონას ლარსონი (ბურთით) და ებრაელი გურ შელეფი

## A ჯგუფი

### სლოვაკეთი 61:79 ლატვია

სლოვაკეთი: ბალზი (18), ბოჰუნიცკი (3), იაკაბოვიჩი (12), ლისკა (2), მელუსი, მიჩუდა (13), პეტრუშკა (8), სვიტეკი (5), ტიმკო, ვეისი

ლატვია: ბაგატსკისი (32), ჰელმანისი (8), ლაკსა (5), რ. მიგლინიეკსი (6), სნეპსი (10), შტელმახერსი (11), შტურმსი (2), ვეკვაგარსი (3), ვიტოლსი (2)

### ინგლისი 77:81 ხორვატია

ინგლისი: ბარნსი (4), ბეტსი (13), ბაკნელი (16), კარტერი (2), ჩუნგი, გარდინერი (11), ჰანსელი (6), ჰერიმენი (4), ჰიუგინსი (18), მენსა-ბონსუ (3)

ხორვატია: ბაგარიჩი (2), გირიჩეკი (20), კრსტიჩი (3), მრშიჩი (20), მულაომეროვიჩი (17), პრკაჩინი (4), რიმაცი, რუჟიჩი (6), სესარი (2), ვუიჩიჩი (7)

### შვეიცარია 76:70 უნგრეთი

შვეიცარია: ბორტერი (8), დენერვო, გრიმესი (7), კოლერი (12), მრაზეკი (8), სასელა (15), ვალისი (26)

უნგრეთი: ციგლერი (10), დავიდი (8), ფოდორი (3), გულიაში (8), ჰალმი (9), კალმანი (10), ნემეტი (8), შიტკუ (14), ტრუმერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 4 | 0 | 329:250 | 8 |
| ლატვია | 4 | 2 | 2 | 328:306 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 2 | 276:263 | 6 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 315:317 | 6 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 278:314 | 6 |
| სლოვაკეთი | 4 | 0 | 4 | 240:316 | 4 |

## B ჯგუფი

### ავსტრია 70:77 საბერძნეთი

ავსტრია: ასჩერიჩი (17), ბუგელშაიმი, ჰაიდა (12), ლოვრეკი, ლუტცი, მადერი (4), მოშიკი (4), რენფროე (8), სტაჟიჩი (13), ვოლჩიჩი (12)

საბერძნეთი: ალვერტისი (23), ბუდურისი (9), ფოცისი (5), დიკუდისი (9), პაპანიკოლაუ (10), რენციასი (4), სიგალასი (6), სიუტისი, ცაკალიდისი (11)

### პოლონეთი 69:80 ჩეხეთი

პოლონეთი: ბიგუსი (3), პლებოვიცკი, ჰიზი (13), იანკოვსკი (13), კოსციუკი (8), პლუტა (12), შიბილსკი (2), ვილანგოვსკი (4), ვოიჩიკი (2), ზიელინსკი (12)

ჩეხეთი: ბეჩკა (17), ჩუდეკი (6), ნეჩასი (2), ნოვაკი (3), სოკოლოვსკი, ტრნკა, ვაჰალა (6), ი. ველში (15), პ. ველში (3), ზიდეკი (28)

### ბელარუსი 66:81 ესტონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 | 306:249 | 8 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 319:278 | 7 |
| ესტონეთი | 4 | 3 | 1 | 313:289 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 307:313 | 6 |
| ავსტრია | 4 | 0 | 4 | 285:341 | 4 |
| ბელარუსი | 4 | 0 | 4 | 278:338 | 4 |

## C ჯგუფი

### ფინეთი 81:76 ბოსნია

ფინეთი: კუისმა (20), ლააკსონენი, ლუჰტანენი (8), მაკელა (5), მარკანენი, მატინენი, პეჰკონენი (8), პრატესი (15), რანიკო (25), რიიჰელა

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (8), ფირიჩი (24), ჰუკიჩი (6), კაჰრიმანოვიჩი, კრასიჩი (3), ლერიჩი (6), მუეძინოვიჩი (19), ოვჩინა (2), ტერზიჩი (7)

### შვედეთი 61:75 ისრაელი

შვედეთი: ლარსონი (18), ბლომი (14), სალსტრიომი (14), ბერგსტრიომი (8), პეტერსონი (6), მირტილი (1)

ისრაელი: თურჯემანი (18), შეფერი (14), შელეფი (13), კოენ-მინცი (10), ლუბინი (9), ჰენფელდი (4), საფარი (3), შტეინჰაუერი (2), ბურშტეინი (2)

### ჰოლანდია 85:66 ბულგარეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 4 | 4 | 0 | 327:255 | 8 |
| ბოსნია | 4 | 2 | 2 | 294:292 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 287:289 | 6 |
| ფინეთი | 4 | 2 | 2 | 317:337 | 6 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 3 | 277:301 | 5 |
| შვედეთი | 4 | 1 | 3 | 286:314 | 5 |

## D ჯგუფი

### მაკედონია 94:65 ისლანდია

მაკედონია: ბოჩევსკი (10), ჩეკოვსკი (2), გეჩევსკი (16), იოვანოვსკი (9), კნიაზევი, კურტოვიკი (12), მიჰაილოვსკი (9), ნაუმოსკი (21), სრბინოსკი (3), სტეფანოვი (12)

ისლანდია: არნარსონი (6), ბაერინგსონი, ბირგისონი (9), გუდფინსონი (11), ფ. ჰარდარსონი (6), ჰ. ჰარდარსონი (6), ოლაფსონი (8), ორლიგსონი (18), სტეფანსონი (1), ვილბერგსონი

### პორტუგალია 77:84 ბელგია

პორტუგალია: ამორიმი (6), ანტუნეში (11), აზევედუ (16), კარეირა (6), დიასი (2), პინტუ (12), მაჩადო, მირანდა (5), ოლივეირა (11), პერდიგაო (8)

ბელგია: კლეიმანსი (7), დიუპონი (4), გუტალსი (26), ჟომინი (26), ლაუერსი (8), მანდიჩი, საპენბერგსი, სტრიულენსი (10), ვან ჰაელე (3)

### უკრაინა 63:76 სლოვენია

უკრაინა: ბაზელევსკი (4), ხარჩენკო (6), ხიჟნიაკი (1), ხრიაპა (9), ლოხმანჩუკი (17), მედვედენკო (10), მოლჩანოვი (2), რაევსკი (7), იაილო (7), იევსტრატენკო

სლოვენია: დრაგშიჩი (2), დუშჩაკი (12), იაგოდნიკი (10), იურკოვიჩი (18), კრალევიჩი (12), მილიჩი (8), პეტროვი (2), სმოდიში (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 4 | 4 | 0 | 328:245 | 8 |
| უკრაინა | 4 | 3 | 1 | 272:233 | 7 |
| ბელგია | 4 | 3 | 1 | 284:257 | 7 |
| მაკედონია | 4 | 2 | 2 | 291:267 | 6 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 4 | 260:324 | 4 |
| ისლანდია | 4 | 0 | 4 | 224:333 | 4 |

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ზეცას ყველა ვერ შესწვდება

23 თებერვალი

### საკრამენტო 94:100 ატლანტა

საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 20 მოხსნა), დივაცი (18)
ატლანტა: რაიდერი (33)

### მილუოკი 86:91 გოლდენ სტეიტი

მილუოკი: ალენი (24), რობინსონი (24)
გოლდენ სტეიტი: მარშალი (37 ქულა, 21 მოხსნა)

### ნიუ იორკი 88:99 ტორონტო

ნიუ იორკი: იუინგი (24 ქულა, 10 მოხსნა)
ტორონტო: კარტერი (33)

### მაიამი 99:85 ნიუ ჯერსი

მაიამი: მურნინგი (43 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება)
ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), მარბერი (21)

### დეტროიტი 111:118 ინდიანა

დეტროიტი: ჰილი 24), ჰანტერი (20)
ინდიანა: სმიტსი (29), მილერი (23)

### კლივლენდი 98:116 ლეიკერსი

კლივლენდი: კემპი (23), მილერი (23)
ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ონილი (19)

### ფილადელფია 94:78 კლიპერსი

ფილადელფია: აივერსონი (22), კუკოჩი (18 ქულა, 14 მოხსნა)
კლიპერსი: ოდომი (20), ანდერსონი (19)

24 თებერვალს, ესე იგი წუხელ ღამით, ოფიციალურად უნდა შემწყდარიყო მოთამაშეთა სხვა კლუბებში გადასვლა. გუნდებსაც მხოლოდ ერთი დღე რჩებათ თავიანთი რიგების საბოლოოდ შესავსებად. საერთოდ ბოლო დღის განმავლობაში ყოველთვის ხდება რაიმე მნიშვნელოვანი გაცვლა გუნდებს შორის. ამიტომაც რეგულარული სეზონის ამ მონაკვეთში განსაკუთრებით კარგად ირჯებიან მოთამაშეები (თუ ისინი ახალ ნავსაყუდელს არ ეძებენ), რათა თავიანთი კლუბების ბოსებს ქვის გულები მოულბონ.

დიდი ძვრებია მოსალოდნელი „ატლანტა ჰოქსში“. „ქორების“ ლიდერებს — აიზია რაიდერს და დიკემბე მუტომბოს შეუტყვიათ, გაცვლას გვიპირებენო და გული მოსვლიათ. განსაკუთრებით პირველი აღშფოთებულა და ამას არც მალავს. „მე გუნდის პირველი ბომბარდირი ვარ, მხოლოდ ორი პასით ჩამოვრჩები პირველ მეპასეს, თამაშში ხუთ მოხსნასაც ვაკეთებ, მაშ, ამიხსენით, რისთვის მცვლიან ან დიკემბეს რაღას ერჩიან. იგი თავისი წონა ოქროდ ღირს. მე რომ თამაშში ათ ქულას ვაკეთებდე, არავისაც არ მოუვიდოდა თავში ეს სულელური აზრი“ — ცხარობს რაიდერი და გვესმის მისი. თავნება ვარსკვლავი გუნდში მეფესავით გრძნობს თავს და სულაც არ დაგიდევთ, რომ სეზონის დაწყებამდე „პორტლენდიდან“ სტივ სმიტის ნაცვლად მისმა გადმოყვანამ მხოლოდ ავნო ჯორჯიელებს. ლაზღანდარა რაიდერის ნაცვლად რომელიმე შრომისმოყვარე კალათბურთელის აყვანა უთუოდ კარგად წაადგებაო გუნდს, ფიქრობენ ხელმძღვანელები.

სხვა კლუბში გადასვლის პერსპექტივით დამფრთხალი რაიდერი ლამის საკუთარი ტყავიდან ძვრებოდა, რათა ხელმძღვანელობა მისი მოშორების უსაფუძვლობაში დაერწმუნებინა. მისი იმდღევანდელი თამაშის შემხედვარე კლუბის ბოსებმა იქნებ კიდეც გადაიფიქრონ რაიდერის გაცვლა. სწორედ მისი დიდი თავგამოდების წყალობით დაამარცხეს ჯორჯიელებმა საკმაოდ ძლიერი „საკრამენტო“ მისსავე მოედანზე. რაიდერი სასწაულებს ახდენდა და თავისი ელვისებური გარღვევებით თუ ზუსტი სროლებით ვეება ნაპრალებს აჩენდა მასპინძელთა დაცვით ზღუდეში. მატჩის შემდეგ იგი კმაყოფილი ისრესდა ხელებს. მიყვარს დასავლეთის სანაპიროს გუნდებთან დაპირისპირება, გახსნილი თამაშის მიმდევრები არიან და ამ დროს არავინაა ჩემი შემჩერებელი. დღეს „საკრამენტომ“ დაცვა ითამაშა, მაგრამ ამაზე უარესიც შემხვედრია. მაგათ ის უნდა ნახონ, თვით „მაიამის“ დაცვას როგორ ვარღვევო — საკუთარი თავის ქებით ვერ ძღებოდა რაიდერი.

საერთოდ, 23 თებერვალს სტუმრებმა იმძლავრეს — შვიდი შეხვედრიდან ერთბაშად ხუთში იმარჯვეს.

საკრამენტოში „ატლანტას“ გამარჯვებისა არ იყოს, დიდი მოულოდნელობა გახლდათ „გოლდენ სტეიტის“ მილუოკური წარმატებაც. აქაც მასზე გაცილებით ძლიერი მასპინძლის ძლევას სტუმარი გუნდი ძირითადად ერთ კაცს უნდა უმადლოდეს. „გოლდენ სტეიტს“ რაიდერობა დონიელ მარშალმა გაუწია. მარშალმა „ვორიორზს“ ამ სეზონში იქნებ ყველაზე სახელოვანი გამარჯვება მოუტანა. მან იმ დღეს ექვსწლიან კარიერაში თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა, დააგროვა სარეკორდო რაოდენობის ქულა და სეზონში ყველაზე მეტი მოხსნა. გადარეულ დონიელს კარგად უწყობდა ხელს გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი და პასებს არ აკლდებდა. ბლეილოკს საბოლოოდ 14 პასი მოუგროვდა, მატჩის შემდეგ კი მან საქებარი სიტყვები არ დაიშურა თანაგუნდელის მიმართ: „იგი ცხოველია და მონსტრი, ამას მაშინვე მიხვდი, როცა გუნდში გადმოვედი და ყოველთვის ვცდილობდი, თამაშში კიდევ უფრო გამემხნევებინა. ნაღდი ცხოველია, ერთი ეგაა, ვინმემ გალიის კარი უნდა გაუღოს.“

თავისის გმირი ჰყავდა „ნიუ იორკ“ — „ტორონტოს“ მატჩსაც. აქაც სტუმრებმა იმარჯვეს თავიანთი ლიდერის ვინს კარტერის წყალობით. თვითონ კარტერზე ახალს ვერაფერს ვიტყვით. იგი მხოლოდ მეორე წელია ასოციაციაში თამაშობს და ბევრად დიდი სახელი მოიხვეჭა, ვიდრე მასზე ხანდაზმულებმა რაიდერმა და მარშალმა. ახლა კარტერმა 33 ქულას მოხსნა-პასებიც წაუმატა და კარიერის პირველ სამმაგ დუბლამდე თითო-თითო მოხსნა და პასი დააკლდა. მისმა სანახაობრივმა თამაშმა კი გარდა მაყურებელთა გართობისა ისიც მოიტანა, რომ „ტორონტომ“ დამაჯერებლად დაამარცხა „ნიუ იორკი“. თავად მასპინძლებს ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ მათმა ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა 14 ქულა ჩააგდო, სულ კარიერაში 23 181 დაუგროვდა და გაუასწრო ამ სიაში მეთხუთმეტე ადგილზე მყოფ ადრიან დენტლის. სხვათა შორის, იუინგი საკმაოდ წარმატებით მიიწევს წინ ამ პრესტიჟულ სიაში. ორიოდე დღის წინ ნიუიორკელმა მეთექვსმეტე ადგილოსანი ელჯინ ბეილორი ჩამოიტოვა, ახლა დენტლისაც გაასწრო და სულ მალე ალბათ კიდევ ერთი საფეხურით წაიწევს წინ. მეთოთხმეტე რობერტ პერიშამდე იუინგს სულ 153 ქულა აკლია, რაც მაქსიმუმ ათიოდე თამაშის ამბავია.

ერთი დღის წინ ლეიკერსელმა შაკილ ონილმა „ნიუ ჯერსის“ 35 ქულა ჩაუგდო, ახლა კი „ნიუ ჯერსი“ კიდევ ერთმა მძლავრმა ცენტრმა დაჩაგრა. მაიამელმა ალონზო მურნინგმა, რომელიც ამ ბოლო წლებში ლიგის პირველ ცენტრობას არცთუ ურიგოდ ეცილება ონილს, აჯობა ლეიკერსელს და საცოდავ მეტოქეს 43 ქულა შეაგება, თან ამას 16 მოხსნა და ხუთი დაფარებაც დაურთო, ალონზოს სულაც შეუშალა ხელი იმან, რომ ორი დღ[illegible] წინ ცხვირი გაიტეხა. მურნინგის თანაგუნდელმა თავდამსხმელმა ფი ჯეი ბრაუნმა ამის თაობაზე კიდეც იხუმრა, სიამოვნებით გავიტეხავდი ცხვირს, თუ ეს 43 ქულის ჩაგდებაში დამეხმარებოდაო. მურნინგმა იმ დღეს მართლაც გაიბრწყინა, თამაშში პირველი 13 სროლიდან ყველა ჩააგდო და მხოლოდ ბოლო მეთოთხმეტე ააცილა. საჯარიმოებშიც რომ ასეთი სიმარჯვე გამოეჩინა, 50 ქულას მაინც დააგროვებდა.

როდესაც 1998 წლის დრაფტში „კლიპერსმა“ პირველ ნომრად 216-სანტიმეტრიანი ნიგერიელი ცენტრი მაიკლ ოლოვოკანდი აიყვანა, ყველამ იფიქრა, გაამერიკელებულ ნიგერიელს, ჰაკიმ ოლაჯუონს ამ 100 მილიონიანმა ქვეყანამ (ნიგერიამ) ღირსეული შემცვლელი მოუვლინაო, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ოლოვოკანდიმ იმის მცირე ნაწილიც ვერ გამოავლინა, რასაც მისგან ელოდნენ. გარდა იმისა, რომ ოლაჯუონზე გაცილებით მოუქნელია, კლიპერსელი ვერც ბრწყინვალე საკალათბურთო აზროვნებით დაიტრაბახებს. ერთი სიტყვით, იგი დიდი თვისტომის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს. ახლა „კლიპერსის“ ამ ჩამქვრალ იმედს კარგი შანსი აქვს, ფართოდ გაშალოს ფრთები. გუნდში მეორე მწვრთნელად ლეგენდარული ქარიმ აბდულ-ჯაბარი მივიდა და წამსვე შეუდგა ოლოვოკანდის აღზრდას. „ფილადელფიასთან“ მატჩში მან ჯაბარის საფირმო სროლა — „ზეციური კაუჭი“ გამოიყენა და ორი ბურთიც ამგვარად ჩააგდო. თუმცა ამით თავის სახელოვან მასწავლებელს ვერანაირად ვერ ასიამოვნა, რადგან ორჯერ კიდეც დაუფარეს, ხოლო როცა ფილადელფიელმა ტონი კუკოჩმა იგივე სროლა გაცილებით მალალხარისხოვნად შეასრულა, ოლოვოკანდი მასზე დაჯარიმდა. საბოლოოდ ჯაბარის მოწაფემ მოედანი სულ ოთხი ქულით და 23 წუთში მიღებული ხუთი ჯარიმით დატოვა. მისმა „კლიპერსმა“ კი ზედიზედ მეთერთმეტე თამაში წააგო და კიდევ უფრო ჩაიძირა.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS ლუფთეხიდან

კლივლენდი — ლეიკერსი. კობი ბრაიანტი კლივლენდელ შონ კემპს (№4) უფარებს

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 22-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| 001 არმინია-ულმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 002 ჰანზა-ფრაიბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 26 თებერვალი | | | |
| 003 ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 004 ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 005 ლევერკუზენი-ჰერტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 006 ბაიერნი-აინტრახტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 007 ბაიერნი-აინტრახტი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 008 დუისბურგი-შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 27 თებერვალი | | | |
| 009 უნტერჰახინგი-შალკე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 010 დორტმუნდი-მიუნხენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-20 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| 011 ოფენბახი-ქემნიცი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 012 ბოხუმი-ზანქტ პაული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 013 ბოხუმი-ზანქტ პაული | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 014 ბერლინი-ალემანია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 26 თებერვალი | | | |
| 015 მაინცი-კოტბუსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 27 თებერვალი | | | |
| 016 კიკერსი-კიოლნი (17.$^{45}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 017 ვალდჰოფი-ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 018 ფორტუნა-ნიურნბერგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 019 ფიურტი-ობერჰაუზენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 28 თებერვალი | | | |
| 020 მიონხენგლადბახი-კარლსრუე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 021 არსენალი-საუთჰემპტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 არსენალი-საუთჰემპტონი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 023 ბრედფორდი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 024 ჩელსი-უოტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 025 ჩელსი-უოტფორდი | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 026 ქოვენთრი-ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 027 მიდლსბრო-ლიდსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 028 უენსდი-ნიუკასლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 029 სანდერლენდი-დერბი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 030 ვესტ ჰემი-ევერტონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 031 უიმბლდონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 032 ბარნსლი-ბოლტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 033 ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 034 ჩარლტონი-შეფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 035 ჩარლტონი-შეფილდი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 036 გრიმსბი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 2,3 |
| 037 მანჩესტერ სიტი-უოლსოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 038 მანჩ.სიტი-უოლსოლი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 039 ნორვიჩი-ჰადერსფილდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 040 პორტ ვეილი-სტოკპორტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 041 სუინდონი-ქრიუ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 042 ვულვერჰემპტონი-ნოტინგემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 27 თებერვალი | | | |
| 043 ბირმინგემი-იფსვიჩი (16.$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 28 თებერვალი | | | |
| 044 ქუინზ პარკი-ფულემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 045 ბორნმუთი-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 046 ბრისტოლი-სკანთორპი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 047 კემბრიჯი-მილუოლი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 048 ჩესტერფილდი-რედინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 049 კოლჩესტერი-ბარნლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 ლუტონი-ბრენტფორდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 051 ნოტსი-კარდიფი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 052 ოლდემი-როვერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 053 ოქსფორდი-რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 054 პრესტონი-ჯილინგემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 055 უიგანი-სტოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 056 უიკომბი-ბერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 057 კარლაისლი-შრიუსბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 058 ჩელტენემი-პიტერბრო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 059 ჩესტერი-ბრაიტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 060 ჰალიფაქსი-საუთენდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 061 მაკლსფილდი-ლინკოლნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 062 მენსფილდი-დარლინგტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 063 ნორთჰემპტონი-ბარნეტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 პლიმუთი-ჰარტლპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 065 როჩდეილი-როტერჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 066 სუონსი-ჰალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 067 სუონსი-ჰალი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 068 ტორკი-ლეიტონი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 069 იორკი-ექსეტერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| 070 პსჟ-ნანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 071 პსჟ-ნანსი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 072 მეცი-სედანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 073 რენი-ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 074 ტრუა-სენტ ეტიენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 075 მონპელიე-ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 076 ბორდო-ნანტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 077 ბასტია-ოსერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 078 ლიონი-მარსელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 27 თებერვალი | | | |
| 079 სტრასბური-მონაკო | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 080 ლე მანი-ლილი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 081 ვასკეალი-გინგამი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 082 ტულუზი-ლავალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 083 ლუანი-ნიმი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 084 შატორუ-ნიცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 085 კრეტეი-აიაჩო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 086 ვალანსი-ლორიანი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 087 კანი-გენიონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 088 ნიორი-ამიენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია "ა". 23-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 089 ლაციო-უდინეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 090 ლაციო-უდინეზე | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 091 პარმა-ფიორენტინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 27 თებერვალი | | | |
| 092 რეჯინა-ლეჩე | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 093 კალიარი-მილანი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 094 ბოლონია-პიაჩენცა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 095 ბარი-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 096 ინტერი-ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 097 ინტერი-ვენეცია | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 098 პერუჯა-ვერონა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 099 იუვენტუსი-რომა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### იტალია. სერია "ბ". 24-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| 100 სამპდორია-კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 27 თებერვალი | | | |
| 101 ბრეშა-ალძანო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 102 ჩეზენა-ემპოლი | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 103 სალერნიტანა-ჯენოა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 104 ფერმანა-პესკარა | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 105 კიევო-პისტოიეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 106 სავოია-რავენა | 2,5 | 2,5 | 2,9 |
| 107 ატალანტა-ტერნანა | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 108 ატალანტა-ტერნანა | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 109 მონცა-ტრევიზო | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 28 თებერვალი | | | |
| 110 ვიჩენცა-ნაპოლი | 1,8 | 2,6 | 5,0 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 24-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 თებერვალი | | | |
| 111 კრემონეზე-ალბინოლეფევე (17.$^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 112 ლუკეზე-კარარეზე (17.$^{30}$) | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| 113 ლეკო-ჩიტადელა (17.$^{30}$) | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 114 ვარეზე-კომო (17.$^{30}$) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 115 სპალ-ლივორნო (17.$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 116 სანდონა-ლუმეცანე (17.$^{30}$) | 2,1 | 2,4 | 3,8 |
| 117 პიზა-მოდენა (17.$^{30}$) | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 118 სიენა-მონტევარკი (17.$^{30}$) | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 119 სიენა-მონტევარკი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 28 თებერვალი | | | |
| 120 რეჯანა-ბრეშელო | 1,8 | 2,5 | 5,3 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 24-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 თებერვალი | | | |
| 121 დი სანგრო-ანკონა (17.$^{30}$) | 3,0 | 2,4 | 2,5 |
| 122 მარსალა-ასკოლი (17.$^{30}$) | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 123 ფ.ანდრია-ბენევენტო (17.$^{30}$) | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 124 ვიტერბეზე-კატანია (17.$^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 125 ატლეტიკო-კროტონე (17.$^{30}$) | 3,4 | 2,5 | 2,2 |
| 126 აველინო-ჯულიანოვა (17.$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 127 არეცო-ლოდიჯანი (17.$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 128 გუალდო-ნოჩერინა (17.$^{30}$) | 2,2 | 2,4 | 3,5 |
| 129 სტაბია-პალერმო (17.$^{30}$) | 2,3 | 2,5 | 3,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 130 ნუმანსია-ვალენსია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 131 რეალი-ბარსელონა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 27 თებერვალი | | | |
| 132 სარაგოსა-სელტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 133 რასინგი-სოსიედადი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 134 ესპანიოლი-რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 135 ალავესი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 136 ვალიადოლიდი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 137 ბილბაო-მალაგა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 138 დეპორტივო-მალიორკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 139 ბეტისი-სევილია | 1,6 | 3,3 | 4,7 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 თებერვალი | | | |
| 140 სპორტინგი-ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 27 თებერვალი | | | |
| 141 ატლეტიკო "ბ"-ლოგრონიესი (15.$^{00}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 142 ლეგანესი-ლას პალმასი (15.$^{00}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 143 ვილიარეალი-ელჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 144 ლევანტე-eიბარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 145 უელვა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 146 ტოლედო-სალამანკა | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 147 მერიდა-ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 148 ოსასუნა-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 149 კომპოსტელა-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 150 ტენერიფე-ხეტაფე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### პორტუგალია. 23-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | |
| 151 ბრაგა-ლეირია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 26 თებერვალი | | | |
| 152 პორტუ-ბელენენსეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 153 პორტუ-ბელენენსეში | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 27 თებერვალი | | | |
| 154 ალვერკა-გიმარაეში | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 155 ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 156 ფარენსე-სალგეირუში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 157 სეტუბალი-სანტა კლარა | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 158 რიუ ავე-კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 159 ამადორა-ბენფიკა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 28 თებერვალი | | | |
| 160 ბოავიშტა-სპორტინგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ჰოლანდია. 23-ე ტური

**25 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 161 | როდა-პსვ | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | სიტარდი-ტილბურგი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 163 | ფეიენოორდი-მაასტრიხტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 164 | ფეიენოორდი-მაასტრიხტი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 165 | სპარტა-ნაიმეგენი ($17.^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 166 | ვალვაიკი-ვიტესი ($17.^{30}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 167 | უტრეხტი-ალკმაარი ($17.^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 168 | ტვენტე-ჰერენვენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ბელგია

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 169 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საბერძნეთი. მე-21 ტური

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | კალამატა-პანათინაიკოსი ($17.^{00}$) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 171 | პანაჰაიკი-ქსანთი ($17.^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 172 | ეთნიკოსი-პაოკ ($17.^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 173 | პროდეფტიკი-ოფი ($17.^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 174 | ირაკლისი-აეკ ($17.^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 175 | პანიონიოსი-არისი ($17.^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 176 | პანილიაკოსი-ტრიკალა ($17.^{00}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 177 | პანილიაკოსი-ტრიკალა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 178 | აპოლონი-იონიკოსი ($17.^{00}$) | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 179 | ოლიმპიაკოსი-კავალა ($17.^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 180 | ოლიმპიაკოსი-კავალა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჩეხეთი. მე-18 ტური

**25 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | დრნოვიცე-ბოჰემიანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | სლავია-ჰ.კრალოვე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 183 | სლავია-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 184 | ვიკტორია-ბრნო ($13.^{15}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 185 | დუკლა-ტეპლიცე ($17.^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 186 | იაბლონეცი-სპარტა ($17.^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 187 | ოპავა-ბუდეიოვიცე ($17.^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 188 | სიგმა-ბანიკი ($17.^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 189 | ბლშანი-ლიბერეცი ($17.^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### თურქეთი. მე-22 ტური

**25 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 190 | გალათასარაი-სამსუნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 191 | გალათასარაი-სამსუნი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | ტრაბზონი-გიოზთეფე ($15.^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 193 | ტრაბზონი-გიოზთეფე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 194 | ანკარაგიუჯიუ-ბურსა ($15.^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 195 | ადანა-ანთალია ($15.^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 196 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | ვანი-დენიზლი ($14.^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 198 | ალთაი-გენჩლერბირლიგი ($15.^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 199 | ისთანბული-ერზურუმი ($15.^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 200 | გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შოტლანდია. 24-ე ტური

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 202 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 203 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ. | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | დანდი-რეინჯერსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |

### ინგლისი. ლიგის თასის ფინალი

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 205 | ლესტერი-ტრანმერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ბელგია. თასის 1/4 ფინალი

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 206 | სტანდარდი-მონი (III) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 207 | ლიერსი-ლოკერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 | სენტ ტრუიდენი-აალსტი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 209 | გენკი-გენტი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

### კალათბურთი. NBA

**25 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 851 | ნიუ იორკი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 852 | მაიამი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 853 | ტორონტო-მინესოტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 854 | დეტროიტი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 855 | ჩიკაგო-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 856 | მილუოკი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 857 | იუტა-ორლანდო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 858 | ლეიკერსი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 859 | სიეტლი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 860 | ნიუ ჯერსი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 861 | ვაშინგტონი-მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 862 | ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 863 | დალასი-დენვერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 864 | კლიპერსი-ატლანტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 865 | ვანკუვერი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 866 | ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 867 | ტორონტო-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 868 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 869 | მილუოკი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 870 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | ლეიკერსი-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 872 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**28 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 873 | ბოსტონი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 874 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 875 | შარლოტი-სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 876 | იუტა-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 877 | კლიპერსი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 878 | გოლდენ სტეიტი-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 879 | შვეიცარია-სლოვაკეთი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 880 | ხორვატია-ლატვია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 881 | უნგრეთი-ინგლისი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 882 | ავსტრია-ბელარუსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 | ჩეხეთი-ესტონეთი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 884 | საბერძნეთი-პოლონეთი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 885 | ფინეთი-ჰოლანდია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 886 | ისრაელი-ბულგარეთი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 887 | ბოსნია-შვედეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 888 | ისლანდია-პორტუგალია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 889 | სლოვენია-ბელგია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 890 | მაკედონია-უკრაინა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### ჰოკეი. NHL

**25 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 891 | ბუფალო-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 892 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 893 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 894 | დეტროიტი-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 895 | სენტ ლუისი-კოლორადო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 896 | დალასი-ჩიკაგო | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 897 | კალგარი-ფინიქსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 898 | ედმონტონი-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 899 | ვანკუვერი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

**26 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 900 | ტორონტო-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 901 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 902 | ოტავა-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 903 | აილენდერსი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 904 | პიტსბურგი-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 905 | ფლორიდა-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 906 | ნეშვილი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 907 | კალგარი-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 908 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |

**27 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 909 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 910 | ნიუ ჯერსი-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 911 | დეტროიტი-ტამპა ბეი | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 912 | დალასი-კოლორადო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 913 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 914 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |

**28 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 915 | აილენდერსი-ვაშინგტონი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 916 | პიტსბურგი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 917 | ფლორიდა-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლებ[illegible] მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კინოაფიშა: გიორგი კანდელაკი

## ბი-ბი-სიმ ქართველ მოკრივეს თვალი დაადგა



გიორგი კანდელაკი მალე კინოგმირიც გახდება

**გუშინ**, გვიან ღამით ინგლისიდან დაბრუნდა ქართველი მოკრივე გიორგი კანდელაკი, რომელმაც ოთხი დღის წინ ლონდონში პროფესიულ რინგზე მეთოთხმეტედ იჩხუბა და გაიმარჯვა. როგორც ყოველთვის, ახლაც, ჩამოფრენისთანავე, მშობლიური ვარიანისკენ და ორი თვის უნახავი ოჯახისკენ გაუწია გულმა. ვიდრე გიორგი ვარიანის გზას დაადგებოდა, მანამდე აეროპორტის მოსაცდელში ოჯახის წევრების, ნათესავ-მეგობრებისა და რამდენიმე ჟურნალისტის ალყაში მოქცეულმა სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და ლონდონურ ჩხუბზე სიამოვნებით ისაუბრა.

— ჩემს მეტოქეს, ფრანგ ანტონ პალადიეს პროფესიულ რინგზე 27 ბრძოლიდან 24 მოუგია. მე მაჩვენეს მისი თხუთმეტამდე შეხვედრის ვიდეოფირი და ვიცოდი, რომ რთული ბრძოლა მელოდა. ჩემთან შეხვედრამდე ორი თვით ადრე ის ლენოქს ლუისის კოლეჯის მოკრივეს ეჩხუბა, რომელსაც ყველა, თორმეტივე შეხვედრა მოეგო. პალადიესთანაც გამარჯვების იმედით გავიდა რინგზე, მაგრამ ფრანგმა დამაჯერებლად სძლია.

ნოკაუტებით განებივრებულს მეგონა, პალადიესაც ორ-სამ რაუნდში დავამარცხებდი, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე და ძალ-ღონე საწყის რაუნდებს შევალიე. ამიტომაც ბრძოლა რვა რაუნდს გაგრძელდა. მსაჯებმა გამარჯვება მე მომანიჭეს — 156:56.

**— ელოდით ამ ანგარიშით მოგებას?**

— გამარჯვებას ველოდი, მაგრამ ამასთანავე რთულ ბრძოლასაც, სწორედ ისეთს, როგორიც გაიმართა. თუმცა დასაწყისში მეტოქემ იმდენი დარტყმა გაატარა, მეგონა, უფრო იოლად მოვიგებდი. ამიტომ, როგორც გითხარით, მთელი ენერგია თავიდანვე გავფლანგე. თანაც, პალადიე ადრინდელ მეტოქეებზე გამოცდილი იყო. ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვე.

**— მომავალ ბრძოლაზე რას იტყვით?**

— მომდევნო შეხვედრას 29 აპრილს გავმართავ ნიუ იორკში, სადაც ლენოქს ლუისი აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს დაიცავს მაიკლ გრანტის ხელყოფისგან. ანდერქარდში მეც ვიჩხუბებ. ჯერჯერობით ლაპარაკია რამდენიმე მეტოქეზე. ვნახოთ, მენეჯერები ვის მოელაპარაკებიან. რამდენიმე დღეში ამერიკაში გავემგზავრები და ლუისთან ერთად ამ ბრძოლისთვის მოვემზადები.

**— იმ სავარაუდო მეტოქეებს თუ იცნობთ?**

— ერთ-ერთი ამერიკელი ტრევორ ბერბიკი უნდა იყოს, რომელსაც თავის დროზე თვით მაიკლ ტაისონმა ჩამოართვა ქამარი. ის ძლიერი მოკრივეა, მაგრამ საგანგებოდ არ დავკვირვებივარ. რამდენიმე დღეში მეტოქის ვინაობაც გაირკვევა, ლონდონიდან დამირეკავენ და ყველაფერს შემატყობინებენ.

**— ინტერკონტინენტალის ჩემპიონობისთვის როდის იბრძოლებთ?**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მენეჯერთა საქმეა. მე მხოლოდ ჩხუბი და მოგება მევალება. ამიტომ ამაზე ჩემს მენეჯერს, ფრენკ მელოუნს დაელაპარაკეთ. მე არაფერს მეუბნება.

ჟურნალისტებმა გიორგი კანდელაკის სიმამრსა და იმავდროულად საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტს, ვახტანგ ყანჩაველსაც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

— პალადიე იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოკრივე, ვინც კი გიორგის აქამდე შეხვედრია. იგი 1996 წლიდან მოყოლებული საფრანგეთის უცვლელი ჩემპიონია. თანაც ცაციაა, ასეთთან კი გიორგის ჯერ არ უჩხუბია. ამასთან, პალადიე გამძლეც გამოდგა. მან 7-8 ისეთი დარტყმა აიტანა, უფრო სუსტი ნოკაუტში ჩავარდებოდა, ფრანგმა კი ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა. შეხვედრა, რომელსაც ლონდონში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც დაესწრო, უშელავათო გამოდგა, თუმცა გიორგის უპირატესობა ყველამ აღიარა. სხვაობა 100 ქულა იყო.

კანდელაკი ინგლისშიც პოპულარული ხდება. მალე ბი-ბი-სი მასზე დოკუმენტურ ფილმსაც გადაიღებს. ისინი ყველგან თან დაჰყვებიან გიორგის, ამერიკაშიც ჩააკითხავენ. ეგ კი არა, საქართველოშიც აპირებენ ჩამოსვლას. მისი ოჯახური ყოფა აინტერესებთ. ინგლისელები სამომავლოდ თადარიგს იჭერენ, ვინ იცის, რა მოხდებაო.

**ირაკლი თავაძე**



მაჰამედ ალი

# ალი მედლის ღირსია

**მსგავსი** რამ განაცხადა გუშინწინ ამერიკის კონგრესში, კენტუკელმა სენატორმა ჯიმ ბანინგმა. ჯილდოს ადრესატად მან მუჰამედ ალი დაასახელა, ხოლო თავად მედალი უბრალო არ გეგონოთ — აშშ-ის კონგრესის ოქროს მედალზეა საუბარი, რომელიც იანკთა უმაღლეს სამოქალაქო ჯილდოს წარმოადგენს. ბანინგი თავადაც ცნობილი კაცია, თუნდაც იმით, რომ ბეისბოლის დიდების დარბაზის ლაურეატია. ამიტომ მისი ნათქვამი ერთ რამედ ღირს, მით უფრო, რომ გენიალური მოკრივის არაერთი დამსახურება აღნიშნა: 1960 წლის ოლიმპიადის ოქროს მედალი, მძიმე წონაში საჩემპიონო ქამრის სამგის ფლობა და რაც მთავარია, პარკინსონის საზარელი სინდრომის წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა. „ეს საკმარისზე მეტია“ — ამბობს ბანინგი და დაჟინებით მოითხოვს ალისთვის იმ ჯილდოს მინიჭებას, რომელიც ყოველთვის ურჩეულესებს რგებიათ. ჯორჯ ვაშინგტონს, ფრენკ სინატრას, დედა ტერეზას, ნელსონ მანდელას... შთამბეჭდავი სახელებია!

**დავით გულუა**



# მეტიჩარა ავსტრალია დაისაჯა

**ავსტრალიის** ქალაქ ბრისბენში შეიდკაცას მსოფლიოს სერიის მერვე ტურნირი გაიმართა და პირველი მოულოდნელობაც იქ დაფიქსირდა. წინა ტურნირზე ფიჯიში, ავსტრალიელები დაიმუქრნენ, ფინალში გავალთო, მაგრამ ვერ აასრულეს. შინაურ კედლებში კი „ვოლაბებს“ ძალიან სურდათ ტრადიციის დარღვევა და ახალი ზელანდიის, ანდა ფიჯის ფინალის მიღმა დატოვება.

შეჯიბრში 16 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ჯგუფებში ასე განაწილდნენ — A ჯგუფი: კანადა, ჰონკონგი, სამოა, ახალი გვინეა; B ჯგუფი: ფიჯი, არგენტინა, ურუგვაი, კუკის კუნძულები; C ჯგუფი: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, იაპონია, ტონგა; D ჯგუფი: ავსტრალია, ჩინეთი, აშშ, სამხრეთ აფრიკა.

პირველმა დღემ სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ყველა ფავორიტმა იოლად მოიგო. ფიჯისა და ახალი ზელანდიის გარდა, გამოჩნდა, რომ მასპინძლებიც მშვენიერ ფორმაში იყვნენ, რისი დასტურიც მათ მიერ სამხრეთაფრიკელთა 28:0 განადგურებაა. ევროპის ერთადერთმა წარმომადგენელმა საფრანგეთმა იაპონია გაჭირვებით დაამარცხა (21:19), „ოლ ბლექსს“ წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ მაინც წააგო 12:26.

მეორე დღეს მსოფლიოს სერიის პირველი სენსაციაც გამოცხვა — ტრადიციული ფინალი არ შედგა. ავსტრალიამ ახალ ზელანდიას ნახევარფინალში აჯობა და ფინალში ფიჯის დაუპირისპირდა. ისე, გამონაკლისი ხომ წესს ადასტურებს და მომავალ ტურნირში ისევ ტრადიციის აღდგენას უნდა ველოდოთ. მეოთხედფინალებში ჯგუფების პირველადგილოსანებმა (ახალი ზელანდია, ფიჯი, ავსტრალია) იმარჯვეს და მხოლოდ კანადა დამარცხდა სამხრეთ აფრიკასთან. ნახევარფინალში ფიჯიმ „ქურციკებთან“ ისევე „გაისეირნა“, როგორც „მამლებთან“ წინა შეხვედრაში. მასპინძლებმა კი მეტოქეს ქულის აღებაც არ დაანებეს. ავსტრალიელებს ტურნირის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ... ფინალის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ისინი 21:19 იგებდნენ, თუმც ბოლოს შეჯიბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ვაისალე სერევი (12 ლელო) გაექცათ და მანაც მორიგი წარმატება მოუტანა თავისიანებს.

**ბაგი გურული**

**მეოთხედფინალი**

**ახალი ზელანდია 23:12 არგენტინა**

**სამოა 5:12 ავსტრალია**

**სამხრეთ აფრიკა 14:7 კანადა**

**ფიჯი 47:7 საფრანგეთი**

**ნახევარფინალი**

**ახალი ზელანდია 0:17 ავსტრალია**

**სამხრეთ აფრიკა 5:45 ფიჯი**

**ფინალი**

**ფიჯი 24:21 ავსტრალია**

**საერთო ჩათვლა**

1. ფიჯი — 128 ქულა
2. ახალი ზელანდია — 120
3. ავსტრალია — 76
4. სამოა — 66
5. სამხრეთ აფრიკა — 62
6. კანადა — 32
7. არგენტინა — 32
8. საფრანგეთი — 20
9. საქართველო — 12
10. ტონგა — 12
11. მაროკო — 4
12. ურუგვაი — 4
13. შოტლანდია — 2
14. ახალი გვინეა — 2





რუბენ გალვანი

# იჩქარე ნელა!

**გუშინწინ** ვალენსიის ტურის მეორე ეტაპი მასპინძელმა მოიგო. 183-კილომეტრიან ტრასა საგუნტოში იწყებოდა და კალპეში სრულდებოდა, რბოლის დასაწყისში რამდენიმე გამოუცდელმა ველომრბოლმა წინ გაქცევა და ერთპიროვნულ ლიდერად გახდომა მოიწადინა. მათ ჯერ 22 კილომეტრიც არ გაევლოთ, რომ ესპანელი დავიდ ვასკესი გაიჭრა და ერთხანს ისეთი სიჩქარით მიჰქროდა, კინაღამ მაკონტროლებელ ავტომობილს გადაასწრო, მაგრამ ამ ალმაფრენამ მხოლოდ 25 კილომეტრის დასაფარავად იკმარა და სულ მალე ვასკესს 15-წუთიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა. ამის შემდეგ ველოსპორტის ლოგიკას რობერტო პეტიტო, ფრანსისკო სერეზო და პაოლო ბეტინიც შეებრძოლნენ, მაგრამ სამივე დაისაჯა, ფინიშის ხაზი კი 7-კაციანმა ჯგუფმა გადაკვეთა, რომელშიც იტალიელი „ფესტინას“ ჯუზეპე დი გრანდეც იყო. საერთო ჩათვლის ლიდერი სწორედ იგი გახდა და ახლა 2 წამით უსწრებს უახლოეს მდევრებს, რომელთაგანაც ფრანგი ლორან ჟალაბერი და ესპანელი აბრაამ ოლანო უნდა გამოვყოთ.

უშუალოდ ეტაპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასპინძელმა მოიგო, კერძოდ, რუბენ გალვანმა „კელმედან“. მან ტრასის გავლას 4 საათი, 43 წუთი და 50 წამი მოანდომა, რაც მთელი 2 წუთითა და 56 წამით ნაკლებია იტალიელი „მეკობრის“, მარკო პანტანის შედეგზე. პანტანი ჯერჯერობით უხეიროდ ასპარეზობს, თუმცა უკმაყოფილება არ ეტყობა. „ბევრს გავუსწარი“ — განაცხადა მან მეორე ეტაპის შემდეგ. ველორბოლის კიდევ ერთ რჩეულზე, ამერიკელ ლანს არმსტრონგზე იმას ვიტყვით, რომ თუ პირველ ეტაპზე იგი ლიდერს 10 წუთით ჩამორჩა, ახლა ეს სხვაობა ოთხნახევრამდე შეამცირა, თუმცა ჩაითვლება თუ არა მსგავსი რამ არმსტრონგისთვის მიღწევად, მკითხველმა განსაჯოს.

**საერთო ჩათვლა**

1 ჯუზეპე დი გრანდე (ფესტინა, იტალია) — 9:01.08

2 ლორან ჟალაბერი (ონსე, საფრანგეთი) — 9:01.10

3 ხავიერ ლორენტე (კელმე, ესპანეთი) — 9:01.10

# რუსებს ცოდვა მიეტევებათ

**უკვე** ვიუწყებოდით, რუს ველომრბოლებს სიდნეის ოლიმპიადიდან გაძევებას რომ უპირებდნენ დავალიანების გამო. ჩრდილოელები მიდგნენ-მოდგნენ, ხალხი შეაწუხეს და აი, ახალი ამბავიც — ჩვენი მეზობლების სიდნეიში გამოსვლა თითქმის გადაწყვეტილი საქმეა, რადგან ამის მომხრეა თვით სეოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, რომელსაც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ვიტალი სმირნოვმა ჯერ კიდევ სკანდალის გაღვივებისთანავე, მოსკოვში სთხოვა, ნუ გაგვწირავო. სამარანჩმა, თავის მხრივ, ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჰაინ ვერბრიუგენი დაარწმუნა, ნუ იზამ მაგ საქმესო და ახლა მხარეთა მოახლოებულ შეხვედრაზე სრული კეთილგანწყობაა მოსალოდნელი. შეხვედრის შედეგი ალბათ ასეთი იქნება — რუსეთს ოლიმპიადაზე დაუშვებენ, რაც შეეხება ველოსპორტის ფედერაციის ვალს — 250 ათას დოლარს, რასაც მთელი ეს ხმაური მოჰყვა, მისი დაფარვის შესახებ საინფორმაციო საშუალებები არაფერს იტყობინებიან.

**დავით გულუა**

# მაიკლ ჯორდანის კაპიტალი

23 თებერვალი

**ვაშინგტონი — ფლორიდა 3:2**

1:1 0:0 1:1 1:0

1:0 მერფი 3'10 (8); 1:1 შეპარდი 9'34 (7); 1:2 კოზლოვი 49'41 (15); 2:2 კონოვალჩუკი 56'32 (12); 3:2 საიმონი 60'55 (21)

**დეტროიტი — დალასი 2:5**

1:1 1:0 0:4

1:0 კოზლოვი 1'15 (16); 1:1 ჰალი 13'00 (18); 2:1 შენაჰანი 29'44 (33); 2:2 ტორნტონი 41'11 (4); 2:3 გეივი 41'56 (3); 2:4 მოდანო 53'43 (27); 2:5 კინი 54'23 (8)

**ტორონტო — ფინიქსი 5:3**

2:1 1:1 2:1

0:1 დოუნი 6'08 (20); 1:1 ჰოგლუნდი 10'32 (24); 2:1 მაკოლი 11'41 (4); 2:2 რენიკი 20'51 (28); 3:2 ტაკერი 36'08 (15); 4:2 ტაკერი 51'35 (16); 4:3 ნუმინენი 56'46 (7); 5:3 პერო 59'07 (10)

**ჩიკაგო — ნეშვილი 2:4**

0:0 0:0 2:4

0:1 ლეგვანდი 40'28 (11); 0:2 ბერეჰოვსკი 41'20 (9); 1:2 ჟამნოვი 50'45 (14); 1:3 ბორდელო 52'29 (5); 2:3 გილმორი 52'55 (21); 2:4 ფიცჯერალდი 59'45 (10)

**კალგარი — ლოს ანჯელესი 2:7**

2:0 0:2 0:5

1:0 იგინლა 6'01 (19); 2:0 შანცი 9'57 (10); 2:1 ოდეტი 27'43 (12); 2:2 ბერგი 32'28 (2); 2:3 პალფი 46'33 (24); 2:4 ჯ. ბლეიკი 48'00 (4); 2:5 კარალაჰტი 49'45 (4); 2:6 რობიტაილი 52'00 (32); 2:7 რ. ბლეიკი 54'11 (16)

**ედმონტონი — ბოსტონი 4:2**

1:2 1:0 2:0

0:1 სუინი 5'44 (1); 0:2 ელორანტა 11'06 (5); 1:2 გერინი 17'08 (20); 2:2 მორო 34'40 (14); 3:2 შ. ბრაუნი 48'07 (4); 4:2 გერინი 48'34 (21)

**სან ხოსე — სენტ ლუისი 1:4**

0:1 1:2 0:1

0:1 ჰანდზუსი 4'31 (18); 1:1 ფრიზენი 24'50 (21); 1:2 რიშე 26'21 (10); 1:3 პრონგერი 29'54 (9); 1:4 იანგი 59'09 (18)

**ანაჰაიმი — ვანკუვერი 4:4**

2:2 2:2 0:0 0:0

1:0 ტვერდოვსკი 1'03 (10); 2:0 სელიანე 8'36 (25); 2:1 მესიე 11'34 (12); 2:2 ჰენდრიკსონი 14'58 (4); 2:3 ნესლუნდი 21'48 (19); 3:3 რუჩინი 43'04 (14); 3:4 კუკი 49'34 (3); 4:4 კინი 55'43 (4)

„ჩვენი ტაქტიკა მეტოქის შეცდომაზე გამოჭერაა. ყოველთვის მოთმინებით ველით, როდის დაიღლება, ან დაიბნევა მოწინააღმდეგე. გარდა ამისა, ყოველი მატჩის წინ საგულდაგულოდ ვადგენთ გეგმას და მერე მას ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებთ. ეს არის და ეს" — დალასის ლიდერს, მაიკ მოდანოს თუ დავუჯერებთ, სწორედ ამაშია მისი გუნდის წარმატების საიდუმლო.

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გამართლდა დეტროიტთან შეხვედრაში. მესამე პერიოდში „ვარსკვლავებმა" სულ რაღაც 45 წამში ორჯერ გაიტანეს და მეტოქე გააოგნეს, ხოლო თუ როგორ უნდა შეინარჩუნო მოპოვებული უპირატესობა, დალასს არ ესწავლება. თუმცა უნდა ითქვას, რომ სტუმრები მანამდეც არაფერში უდებდნენ ტოლს მასპინძლებს და ამაზე მათ მიერ შექმნილი არაერთი საგოლე მომენტი მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ „ვარსკვლავთა" ორი გადამწყვეტი გოლი ახალწვეულებმა მიითვალეს და საერთოდაც, წლეულს ისინი ძალიან დაეხმარნენ გუნდს, რომელსაც წამყვანი მოთამაშეების ქრონიკულმა ტრავმებმა უამრავი პრობლემა შეუქმნა. თვით ვეტერანი კირკ მიულერიც (2 პასი) კი, რომელიც ფლორიდამ „ჩამოწერა", კარგად მოერგო გუნდს.

დეტროიტელებმა კიდევ ორი გოლი გაუშვეს. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ „წითელფრთიანებს" თასის მოგება კვლავ სურთ, თავიანთი მობერებული დაცვა, რომლის საშუალო ასაკიც 30 წელს აღემატება, აუცილებლად უნდა გადაახალისონ. დეტროიტმა ზედიზედ მეოთხედ წააგო დალასთან თავისსავე მოედანზე.

ზედიზედ მეათე საშინაო გამარჯვება მოიპოვა ვაშინგტონმა, რომელმაც თავის „MCE CENTRE"-ში წაუგებელი სერია კლუბისთვის სარეკორდო — 13 მატჩამდე გაზარდა. ამ მოგების შემდეგ დედაქალაქელებმა დივიზიონის პირველადგილოსან ფლორიდასთან სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს. სტუმრებს ვერც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაბრუნებული ტრევორ კიდის (41 მოგერიება) ჩინებულმა თამაშმა უშველა. ახლა „პანტერებს" ორი უმაღლესი კლასის მეკარე ჰყავთ: კიდი, რომელიც დაშავებამდე (მან 20 მატჩი გამოტოვა) ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო წლეულს და მის არყოფნაში შეძენილი მაიკ ვერნონი. ვაშინგტონელების წარმატება კი ოვერტაიმში რიცხვმრავლობის ნაყოფიერად გამოყენებამ განაპირობა. აქვე გეტყვით, რომ შეხვედრას თვით მაიკლ ჯორდანი დაესწრო. ნბა-ს ყოფილი სუპერვარსკვლავი, რომელმაც წლეულს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბი „ვაშინგტონ ვიზარდსი" შეიძინა, ცოტა ხნის წინ „კეპიტალსის" თანამფლობელიც გახდა და პირველად მივიდა გუნდის თამაშის სანახავად.

უქმეებზე ედმონტონთან ორი მოგებით შეგულიანებულ კალგარელებს ძალიან უნდოდა, ქომაგები მორიგი წარმატებით გაეხარებინათ, მაგრამ გუნდი მცველებმა დაალალატეს. საქმე ისაა, რომ უშუალოდ მატჩისწინა ვარჯიშზე „ალებს" გრიპშეყრილი ფილ ჰაუსლი გამოაკლდათ, ხოლო შეხვედრის შუაგულში კეილ ჰალსი დაშავდა, რის გამოც ბოლო პერიოდში კალგარის ოთხი მცველიღა შერჩა და ლოსანჯელესელებმაც გაილაღეს.

ლუკ რობიტაილმა (1+1) და კალგარელმა ჯერომ იგინლამ (1+1) თავიანთი ქულიანი სერიები 11 მატჩამდე გაზარდეს, რობიტაილის თანაგუნდელმა რობ ბლეიკმა კი 3 (1+2) ქულა მიითვალა.

ამასობაში ჩემპიონატს ახალი ლიდერი გამოუჩნდა. ზედიზედ მეცხრე საგარეო მოგების შემდეგ სენტ ლუისმა პირველ ადგილზე დამკვიდრებულ ნიუ ჯერსის ბატონობა ჩამოართვა. „ბლუზმენთა" წარმატების სულისჩამდგმელი, პავოლ დემიტრას (2 პასი) სლოვაკური სამეული გახდა, რომელსაც ჩრდილოამერიკული მასმედია რატომღაც „ჩეხურ ხაზად" მოიხსენიებს. ამით, როგორც ჩანს, ჩეხების მკვეთრად გაზრდილი ზეგავლენის გამოხატვა სურთ.

ტორონტომ ახალშეძენილი დარსი ტაკერის (2 გოლი) ძალისხმევით, რომელიც თანდათან გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ხდება, 6-მატჩიანი წაგება-ფრეების სერია შეწყვიტა. ბოსტონი კი, ეტყობა, საპლეიოფო ბრძოლას გამოეთიშება. „დათვები" ედმონტონთან შეხვედრაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ უსუსურად გამოიყურებოდნენ და მეტოქეს მხოლოდ ორი პერიოდის განმავლობაში გაუწიეს წინააღმდეგობა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ტორონტოელთა მეკარის კერტის ჯოზეფის ნახტომი ჰოკეის კვალობაზე მეტად უჩვეულოც იყო და ლამაზიც

## ალპური ტრაგედია

საფრანგეთის ალპებში კვირაზე მეტია, გადაუღებლად თოვს. მომრავლდა ზვავები და გუშინწინ ადამიანებიც შეიწირა — ნამქერში მოყოლილი შვიდი მოთხილამურიდან სამი დაიღუპა, ხოლო დარჩენილი სამი გადარჩენას, მეშვიდე მოთხილამურეს უნდა უმადლოდეს, რომელმაც, თავად მძიმედ დაშავებულმა, მაინც მოახერხა მაშველთა გამოძახება. დაზარალებულები საავადმყოფოში მოათავსეს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 25 თებერვალს თბილისის ჟურნალისტთა სახლში ქართული ძიუდოს პრობლემებზე პრესკონფერენციას გამართავს ღვაწლმოსილი მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი

დასაწყისი 14 საათზე



# ვირტუალური ჩემპიონი სოციალისტური ბანაკიდან



ვოლფგანგ როტმანი

თოფიან მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატში კაცები მარათონულ, 20 კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. ფავორიტები, ისევე როგორც ბოლო წლების ნებისმიერ შეჯიბრებაში, ნორვეგიელები და გერმანელები იყვნენ. მათ სერიოზულ კონკურენტად ფრანგი რაფაელ პუარე და ერთი-ორი რუსი ბიატლონისტიც შეიძლებოდა მიგვეჩნია.

როგორც ხშირად ხდება, პროგნოზები არც ამჯერად გამართლდა. ოქროს მედალი მოიპოვა სპორტსმენმა, რომელსაც ნოემბრიდან მოყოლებული თავი არც ერთ შეჯიბრში არ გამოუჩენია. ახლად გამომცხვარი მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრიელია, გვარად როტმანი. ყველა ადრე დასახელებული ფავორიტი პუარეს გარდა უკან ჩამოიტოვა მეორე ავსტრიელმა გრედლერმაც.

რა ჰქვია ამას, სენსაცია? არავითარ შემთხვევაში. ავსტრიელი სპორტსმენების სახით საქმე გვაქვს კანონზომიერებასთან, რომლის სოციალისტური არსი კარგად არის ჩვენთვის ნაცნობი საბჭოთა სპორტის მაგალითზე. ავსტრიელთა წარმატება შესაძლოა იმიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, კარგა ხანია უბერავს ნაციონალ-სოციალისტური სიო. ხელისუფლებაში მათი ლიდერის გამოჩენა კი ამის უტყუარი საბუთია.

მაინც რა კავშირი უნდა ჰქონდეს პოლიტიკაში ნეოფაშისტების აღზევებასა და ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს? სოციალისტურ ქვეყნებს სპორტი პოლიტიკის რანგში ჰყავდათ აყვანილი. მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებები მათი ქვეყნების სიძლიერის დადასტურება იყო. ახლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატები უამრავ სახეობაში ვირტუალურ ასპარეზობებად იქცა, რადან მათ სიმბოლური მედლების გარდა თან არაფერი სდევს, სოციალისტური ინერციით მოაზროვნე ქვეყნები აქცენტს ისევ ამ კატეგორიის შეჯიბრებებზე აკეთებენ: მთელი სეზონი ვარჯიშობ, მსოფლიოს თასის ეტაპებზე ნახევარი ძალით ასპარეზობ და სეზონის მიწურულს ათეულ ურთულეს შეჯიბრებაგამოვლილ, უკვე საკმაოდ დაქანცულ მართლა ფავორიტებსა და ჩემპიონებს, დასვენებული დააცხრები თავს ერთადერთ რბოლაში დასამარცხებლად.

კაცია და გუნება. ბოლო-ბოლო არავის საქმე არ არის, ვინ რომელ შეჯიბრებაში და როგორი ძალით გაიქცევა, მაგრამ უკვე თვალწინ მიდგას ავსტრიელი ხალხის წინაშე ავსტრიელთა უძლეველობაზე რიხით მოლაპარაკე ნაციონალ-სოციალისტთა ლიდერი. საქმე ის არის, რომ ხალხს ერთობ ხშირად ამნაირი სისულელეებისა მართლა სჯერა, სჯერა, რომ სეზონის ერთადერთ შეჯიბრებაში გამარჯვებული როტმანი მართლა ძლიერია მსოფლიოს თასის მომავალ მფლობელზე, სულ ერთია, ვინ იქნება ის — ფრანგი პუარე, ნორვეგიელი ბიორნდალენი თუ გერმანელი ლუკი. სჯერა, რადგან როტმანი მსოფლიოს ჩემპიონია, ვთქვათ ბიორნდალენი კი, რომელსაც ორ ათეულ ამგვარ შეჯიბრებაში უკვე მოუწია და კვლავაც მოუწევს მსოფლიოს თასის ტიტულის მოპოვება, სათვალავში ჩასაგდები არ არის.

მადლობა ღმერთს, რეფორმები სპორტშიც ტარდება და თუ დღეს არავისთვის არაფრის მთქმელი არ არის ოლიმპიური ჩემპიონობა ვთქვათ ჩოგბურთში, ან მსოფლიოს ჩემპიონობა ველოსპორტში (რომელში გამარჯვებისთვის არც ერთი ჭეშმარიტად ძლიერი ველომრბოლი არა თუ არ იბრძვის, არც კი მონაწილეობს), ასევე იქნება ხვალ დანარჩენ სახეობებშიც, რადგან ადამიანის მოღვაწეობის არც ერთ სფეროში და ცხადია, სპორტშიც, არავის არ უნდა სჭირდებოდეს ვირტუალური ჩემპიონები.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## შედეგთა დაფა

### ძიუდო

19-20 თებერვალი

**ლეონდინგის (ავსტრია), A კატეგორიის საერთაშორისო, ტურნირი.** *კაცები.* 60 კგ. 1. მარეკ მატუშეკი (სლოვაკეთი), 2. იდი ვაქსი (ისრაელი), 3. სედრიკ ტაიმანსი (ბელგია), ოლივე შპენგლერი (გერმანია). 66. 1. იორდანის არენსიბია (კუბა), 2. ბუ კიუნგ იუნგი (კორეა), 3. იუკიმასა ნაკამურა (იაპონია), ჰენდრიკ შუმახერი (გერმანია). 73. 1. ჯუზეპე მადალონი (იტალია), 2. დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი), 3. იუსუკე კინამარუ (იაპონია), ვსევოლოდ ზელიონი (ლატვია). 81. 1. პიტრუ რაიტერი (ავსტრია), 2. ფლორიან ვინერი (გერმანია), 3. ჩო ინ ჩული (კორეა), კრისტიან ტოლგიეში (უნგრეთი). 90. 1. იოსვაინ დესპაინი (კუბა), 2. რუსლან მაშურენკო (უკრაინა), 3. ადრიან კროიტორუ (რუმინეთი), ფერნანდო გონსალესი (ესპანეთი). 100. 1. ანტალ კოვაჩი (უნგრეთი), 2. ლუიჯი გვიდო (იტალია), 3. იან სუნგ ჰო (კორეა), პედრო სოარეში (პორტუგალია). მძიმე. 1. დანიელ ერნანდესი (ბრაზილია), 2. კაზუკი ტაკაიამა (იაპონია), 3. ვლადიმირ სანჩესი (კუბა), იმრე ჩოსი (უნგრეთი).

*ქალები.* 48 კგ. 1. ამარილის სავონი (კუბა), 2. ერიკო ნაკაჯიმა (იაპონია), 3. ჟუჟა ფეკეტე (უნგრეთი), ანა ზემლა (პოლონეთი). 52. 1. ლენია ვერდესია (კუბა), 2. დებორა გრავენსტაინი (ჰოლანდია), 3. იოანა დინია (რუმინეთი), იუკო ისოზაკი (იაპონია). 57. 1. დრიულის გონსალესი (კუბა), 2. ჩინზია კავაზუტი (იტალია), 3. დანიელა ზანგრანდო (ბრაზილია), კარინ ნეოლეკი (საფრანგეთი). 63. 1. ჯენიფერ გალი (იტალია), 2. ლუსი დეკოსი (საფრანგეთი), 3. დანიელ ფრიზემა (ჰოლანდია), ვანია იშიი (ბრაზილია). 70. 1. ს. ლას ვერანესი (კუბა), 2. ნაცუკო სანო (იაპონია), 3. ადრანა დატჩი (პოლონეთი), კარინ სამბო (საფრანგეთი). 78. 1. სიმონა რიხტერი (რუმინეთი), 2. ჰანა ერტელი (გერმანია), 3. კატარინა როდრიგესი (პორტუგალია), ედნანსი სილვა (ბრაზილია). მძიმე. 1. მოდორი შინკანი (იაპონია), 2. სეონ იუნ კინი (კორეა), 3. კატია გერბერი (გერმანია), დაიმა ბერტლანი (კუბა)

### მაგიდის ჩოგბურთი

24 თებერვალი

**კუალა ლუმპური. მალაიზია. მსოფლიოს ჩემპიონატი.** *კაცები. მეოთხედფინალი.* ჩინეთი — ს. კორეა 3:0; იაპონია — ტაივანი 3:2; შვედეთი — გერმანია 3:0; იტალია — ჰოლანდია 3:1.

*ქალები. ნახევარფინალი.* ტაივანი — რუმინეთი 3:2; ჩინეთი — ს. კორეა 3:1.

### ველორბოლა

24 თებერვალი

**ვალენსიის ტური. მესამე ეტაპი. კალპეიატივა 186 კმ.** 1 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, მაპეი)-4.34,26 სთ; 2 ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი); 3 ჯორჯ ჰინკაპი (აშშ, ოსტარი); 4 რობერტო პეტიტო (იტალია, ფასა); 5 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე); 6 რუბენ გალვანი (ესპანეთი, კელმე); 7 გორკა ხერიკაგოიტია (ესანეთი, ეუსკალტე); 8 ოსკარ კამენზიდი (შვეიცარია, ლამპრე); 9 ფრანცისკო მანკებო (ესპანეთი, ბანესტო); 10 მარკო ველო (იტალია, მერკატონე უნო)



REUTERS ოკლენდიდან

# განტვირთვის წუთები

რაც ებრაელთა სახელმწიფო შეიქმნა, იმ მინას ომი არ დაკლებია. ცხელ წერტილთა ჯარისკაცები კი, ჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან. ბილანის საზღვარზე განლაგებული საარტილერიო ბაზა „ტაბაკი“ სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია, ბოლო დროს გართულებული ვითარება მებრძოლებს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. ბურთი განტვირთვის ლამის ერთადერთ საშუალებად რჩება, თანაც ამ ქვეყანაში კალათბურთი ძალიან უყვართ. მაგრამ ნახეთ, რა ახლოს აწყვია საბრძოლო იარაღი...





# მფრინავი

*ამერიკული გართობა: თავზეხელაღებული მოტოციკლისტი რობი ნიველი თავისი მოტოთი მატარებლის მთელ შემადგენლობას გადაევლებია. ეს ამბავი სამხრეთულ ქალაქ პალესტაინში ხდება, ტეხასის შტატის სარკინიგზო პარკში.*

# რეიჩელი მხარს უჭერს

კვლავ ახალი ზელანდია, კვლავ ოკლენდი და კვლავ ჰაურაკის ყურე. მალე ამერიკის თასისთვის შერკინებული ორი ეკიპაჟის, ახალ ზელანდიის გუნდისა და იტალიური „პრადას“ მესამე რეისი დაიწყება. ახალზელანდიელები, ჯერჯერობით წარმატებით იცავენ ტიტულს, რახან წინა ორი რეისი მოუგიათ. „პრადა“ კი იმისთვის იბრძვის, რომ მსოფლიოს უძველესი თასის პირველი ევროპელი მომგები შეიქნას. ჰო და რაც საინტერესოა — ოკლენდელი სუპერმოდელი რეიჩელ ჰანცერი, ცხადია თანამემამულეებს უჭერს მხარს — ამის დამადასტურებლად მკლავი სვირინგითაც კი დაუმშვენებია.



REUTERS ნიუ იორკიდან

# დიეგო უცქერს

კვლავაც კუბაზე მყოფი დიეგო მარადონა თავის ჰავანელ მეგობარს სწვევია სახლში და „უემბლიდან“ გადმოცემულ ტელერეპორტაჟს უცქერს. ინგლისელები მის თანამემამულეებს ხვდებიან და ვინ იცის, რა არ ახსენდება ტანჯულ დიეგოს, ღმერთის ხელიო... და ასეთი რამეები.



REUTERS ჰავანიდან

# სიყალბის წინააღმდეგ



REUTERS სიდნეიდან

სიდნეის ოლიმპიადის დაწყებამდე თვეებილა დარჩა, ამიტომ ოლიმპიური სიმბოლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თურმე ნუ იტყვით და, ვისაც არ ეზარება, სიდნეურ სიმბოლოებს იყენებს. ყოველგვარი პატენტის გარეშე, აზიის ნაირგვარი პატარა საამქროები თავიანთ ნაწარმს „სიდნეი 2000“-ის სიმბოლოებით რთავენ და კარგადაც ასაღებენ, ვითომდა ოლიმპიურ საქონელს: საათებს, კეპებს, მაისურებს, ბურთებს და საათებს. ავსტრალია კი ამგვარად ებრძვის ცრუოლიმპიურ საქონელს — საბაჟოზე გამოჩენილ ყოველ „სიდნეურობის“ პრეტენზიის მქონე ნივთს ამგვარი პოლოგრამა უნდა ამშვენებდეს — ავსტრალიური ცხოველების გამოსახულება სიყალბის გამოვლენაში დაეხმარება ჭეშმარიტად ოლიმპიური საქონლის დამამზადებლებს.

# კვლავ ოსკარი

*ხვალ, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ამერიკის ოქრობიჭი ოსკარ დე ლა ჰოია თავის მორიგ ბრძოლას გამართავს და დერელ კოლის შეერკინება. ოთხი სხვადასხვა წონის ჩემპიონი ოსკარი პირველად გამოდის რინგზე მას შემდეგ, რაც თავისი საბჭოს (ვბკ) ქამარი ფელიქს ტრინიდადთან ჩხუბში წააგო.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli